

ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

ჭანუყვაბე ხათუნა

ლიმონის პერსპექტიული სამრეწველო ჯიშების
ნაყოფების ქიმიური და ტექნოლოგიური
თავისებურებანი

დისერტაცია

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა: 05.18.10 – ჩაის, თამბაქოსა და სუბტროპიკული
კულტურების ტექნოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გურამ ფრუიძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მეცნიერ კონსულტანტი: **გურამ პაპუნძიძე**

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის
წევრ - კორესპონდენტი.

ქუთაისი

2006

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა .

- 1.1. ლიმონის (ლიმონი დიოსკურია, მეიერი, ქართული) ჯიშების ბიოლოგიური დახასიათება.
- 1.2. ციტრუსოვანთა ნაყოფის ქიმიური შედგენილობა.
- 1.3. ლიმონის ნაყოფის შენახვა–გადამუშავება.

თავი 2. ექსპერიმენტალური ნაწილი.

- 2.1. კვლევის ობიექტი და მეთოდები.

თავი 3. ლიმონის ნაყოფის ქიმიურ – ტექნოლოგიური შედგენილობის შესწავლა.

- 3.1. ლიმონ დიოსკურიას ხარისხობრივი მაჩვენებლები.
- 3.2. ლიმონის ნაყოფის ნახშირწყლები.
- 3.3. ლიმონის ნაყოფის ორგანული მჟავები.
- 3.4. ლიმონის სხვადასხვა ჯიშის მეთოქსილირებული ფლავონები.
- 3.5. LL–ასკორბინის მჟავა ლიმონის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფში და მისი ცვალებადობა ნაყოფის გადამუშავების პროდუქტებში.
- 3.6. ეკოლოგიური პირობების გავლენა ლიმონების - მეიერის, დიოსკურიას და ქართულის ნაყოფის ეთეროვანი ზეთის შედგენილობაზე.

თავი 4. ლიმონის ნაყოფის შენახვა-გადამუშავების ზოგიერთი ტექნოლოგიური რეგლამენტების გამოკვლევა.

- 4.1 ლიმონის ნაყოფის მომზადება პროდუქტის დასამზადებლად.
- 4.2 ლიმონის ნაყოფის შენახვა.
- 4.3 პროფილაქტურ – მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელის მომზადება.
- 4.4 კონფიტიურის წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება.

თავი 5. ეკონომიკური ეფექტიანობის ანგარიში.

5.1 ლიმონის უალკოჰოლო მატონიზირებული სასმელის ეფექტიანობის ანგარიში.

5.2 ლიმონის კონფიტიურის ეკონომიკური ეფექტიანობის ანგარიში.

5.3. ლიმონის შენახვის ეფექტიანობის ანგარიში.

ძირითადი დასკვნები.

გამოყენებული ლიტერატურა.

დანართი.

შესავალი

თემის აქტუალობა: ციტრუსოვანთა სუსტი ყინვაგამძლეობითაა გამოწვეული მათი მოყვანის არეალის შეზღუდულობა. განსაკუთრებით მგძნობიარე ლიმონის კულტურაა. ლიმონი მნიშვნელოვანი ნედლეულია საკონსერვო მრეწველობისთვის. მისგან მზადდება მრავალი პროდუქტი, განსაკუთრებით საინტერესოა მატონიზირებული სასმელები. ნაყოფები ფართოდ გამოიყენება სახალხო მედიცინაში გულ-სისძარღვთა დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

საქართველოში დიდი სამუშაოა ჩატარებული ლიმონის ყინვა და მალსეკოგამძლე ჯიშების მისაღებად. ჯიშთა გამოყვანის დროს საძირედ იყენებენ ტრიფოლიატს, რომელიც ლიმონის ნაყოფის თვისებებს რამდენადმე ცვლის. ლიმონის ბიოქიმიური დახასიათება ხდება მასში შაქრების, ორგანული მჟავების, პექტინოვანი ნივთიერებების, ვიტამინი C-ს, აქროლადი კომპლექსის და სხვათა მიხედვით. ახალ მიღებულ ჯიშებში, კერძოდ, „დიოსკურია“-ში ეს საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი.

ლიმონი დიოსკურია სამამულო სელექციის პირველი მალსეკოგამძლე და შედარებით ყინვაგამძლე ჯიშია. სრულყოფილად არ არის შესწავლილი მისი ბიოქიმიური თავისებურებანი, სასარგებლო თვისებები და აქედან გამომდინარე განვითარების სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა. ლიმონი „დიოსკურია“-ს დრმა

ბიოლოგიური შესწავლა საშუალებას მოგვცემს მისი ნაყოფი გამოვიყენოთ უფრო რაციონალურად.

კვლევის მიზანი და ამოცანები: სამუშაოს მიზანი იყო შეგვესწავლა ლიმონ „დიოსკურია“-ს ქიმიური შედგენილობა და შეგვედარებინა იგი ჩვენში გავრცელებული ჯიშების „ქართული“-ს და „მეიერი“-ს ქიმიურ შემადგენლობისათვის. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვემუშავებინა მატონიზირებელ-პროფილაქტიკური სასმელის და კონფიუტურის წარმოების ტექნოლოგია. ამ მიზნით დავისახეთ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ლიმონის ნაყოფების ეთერზეთის გამოყოფა და მისი შედგენილობის შესწავლა.
- ლიმონის ნაყოფების ნახშირწყლების შესწავლა.
- ლიმონის ნაყოფების ორგანული მჟავების თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობის შესწავლა.
- ლიმონის ნაყოფში ასკორბინის მჟავას რაოდენობის შესწავლა.
- ლიმონის ნაყოფში ზოგიერთი ფენოლური ნაერთების შედგენილობის შესწავლა
- მიღებული მონაცემების შეჯერებით ლიმონის ნაყოფის მატონიზირებელ-პროფილაქტიკურ სასმელად გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმების შემუშავება
- ლიმონის ნაყოფის კონფიტიურად გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმების შემუშავება.

მეცნიერული სიახლე: შესწავლილია სამი ჯიშის ლიმონის: „მეიერი“-ს, „დიოსკურია“-ს და „ახალქართული“-ს მქროლავი კომპლექსის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა, ნაჩვენებია, რომ ლიმონი „დიოსკურია“ წარმოადგენს შუალედ ფორმას მეიერსა და ახალქართულს შორის. დადგენილია სამივე ჯიშის ლიმონის ნახშირწყლების და ორგანული მჟავების თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა. შესწავლილია ფენოლურ ნაერთთა შემადგენლობა. ნაჩვენებია მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფირების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა ლიმონის ნაყოფის კვლევის დროს. დადგენილია ლიმონის ნაყოფის მატონიზირებელ-პროფილაქტიკურ სასმელად და კონფიტიურად გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმები.

სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება: ლიმონის ნაყოფების ქიმიურ შედგენილობის შესწავლა მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ მისი გადამუშავების ტექნოლოგიის

სრულყოფა, შევქმნათ პირობები იმისა, რომ გადამუშავების პროდუქტებში ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული.

კვლევს შედეგების რეალიზაცია:

სამუშაოს აპრობაცია: თემის ძირითადი შედეგები მოხსენებული და განხილულია სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (ქუთაისი 2005წ.), ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2006წ).

პუბლიკაცია: დისერტაციის ძირითადი მეცნიერული შედეგები წარმოდგენილია 4 მეცნიერულ ნაშრომში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: დისერტაცია შედგება შემდეგი თავებისაგან: შესავალი, ლიტერატურული მიმოხილვა, ექსპერიმენტალური ნაწილი (კვლევის მეთოდების აღწერით, შედეგებითა და მათი განხილვით), დასკვნები, ციტირებული ლიტერატურის სია და დანართი. ნაშრომი მოიცავს 21 ცხრილს, 14 ნახაზს, 4 სქემას, 2 სურათს. ბიბლიოგრაფია შედგება 172 წყაროსაგან, მათგან 157 უცხოური ნაშრომისაგან.

თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა

მრავალრიცხოვან ხეხილოვან კულტურათა შორის ციტრუსოვნები გამოირჩევა განსაკუთრებული პოპულარობით. ეს განპირობებულია იმით, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფი შეიცავს ადამიანისათვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (47).

მაღალი წვნიანობა, სასიამოვნო არომატი და გემო, შაქრების, პექტინოვანი ნივთიერებების, ორგანული მჟავების, მინერალური ნივთიერებების და ასევე სხვა მრავალნაირი ბიოლოგიურად აქტიური სასარგებლო ნივთიერებების მაღალი კონცენტრაცია განაპირობებს არა მარტო კვებით და დიეტურ, არამედ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღირებულებასაც(11, 35, 41, 46, 66).

ქიმიური შედგენილობის თავისებურებანი ყველა ციტრუსოვნებში მდგომარეობს ნაყოფის კანსა და რბილობში ცალკეული ნივთიერებების არათანაბარ განაწილებაში. მჟავებს ძირითადად შეიცავს ნაყოფის რბილობი, ეთერზეთები უმთავრესად ლოკალიზებულია კანში. აღინიშნება განსხვავება აქროლადი ნივთიერებების ფრაქციულ შედგენილობაშიც (23).

ნაყოფის გემო განისაზღვრება არა მხოლოდ შაქრიანობით და მჟავიანობით, არამედ ნაყოფის არომატითაც, ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა გემოვნების მიხედვით მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. ნაყოფებს გააჩნიათ დამახასიათებელი არომატიც, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან არა მარტო სხვადასხვა სახეობის, არამედ ერთი და იმავე სახეობის სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა ნაყოფები (6, 93, 94).

1.1. ლიმონის ჯიშების (დიოსკურია, მეიერი, ქართული) ბიოლოგიური დახასიათება

ლიმონი – მიეკუთვნება ფარულთესლიანების ტიპს (Angiospermae), ორლებნიანების კლასს (Dicotyledoneae), თუთუბოყვავილოვანთა როგს (Anacardiales), ტეგნისებრთა ოჯახს (Rutaceae) და ნარინჯოვანთა ქვეოჯახს (Aurantioideae) და Citrus – ის გვარს (22, 56, 74, 77).

ნარინჯოვანთა ქვეოჯახიდან გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს სამ გვარს: ციტრუსების, პონცირუსისა და კინკანების (ფორტუნელას).

ციტრუსოვანთა გვარი შეიცავს 16 სახეობას, რომელთა შორის ჩვენში გავრცელებულია კულტურული სახეები: ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი და ციტრონი.

მიუხედავად იმისა, რომ ნარინჯოვანთა კლასიფიკაციას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, სადღეისოდ ის მკვეთრად ჩამოყალიბებული არ არის, რაც აიხსნება ამ ოჯახის ძალზე პოლიმორფიზმით და ცვალებადობათა დიდი უნარიანობით. კლასიფიკაციის დადგენაზე მუშაობდნენ ბოტანიკოსები – სვინგლი (ამერიკა), ტანაკა (იაპონია), მარკოვიჩი, ლუსი (რუსეთი).

სვინგლმა დიდი მუშაობა ჩაატარა ნარინჯოვანთა კოლექციის შესასწავლად. პრაქტიკულად შეისწავლა ის და მოგვცა სახეობათა სია შედარებით სწორი ბოტანიკური სახელწოდებებით და სინონიმებით.

ლიმონი ყველგან ითვლება ყველაზე უფრო ძვირფას სამკურნალო და გამაცოცხლებელ ნაყოფად ავადმყოფებისათვის, რადგან ლიმონი სხვა ციტრუსოვნებთან შედარებით უფრო მდიდარია ვიტამინი C და ორგანული მჟავებით (ლიმონის და ვაშლის). ლიმონი ეფექტური საშუალებაა ცინგის და ანემიის წინააღმდეგ, ლიმონით მკურნალობენ პოდაგრას, სახსრების რევმატიზმს, ანგინას. მას მიაწერენ აგრეთვე მრავალ სხვა თვისებებს.

ეთეროვან ზეთებს, რომელიც მიიღება ლიმონის ქერქიდან, გააჩნია ფართო გამოყენება პარფიუმერიაში და მედიცინაში, მას გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდური მოქმედება, განსაკუთრებით მენინგოკოკზე, ტიფისა და დიზენტერიის ჩხირებზე. ლიმონი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, როგორც მასალა გამაგრილებელი სასმელების დასამზადებლად. მსგავსი სასმელები ჩვენთან იწოდება ლიმონათად და სიტროდ (ლიმონის ფრანგული სახელწოდებიდან ლიმონი – Citron). თუმცა ფაქტიურად ის შეიძლება დამზადდეს არა მარტო ლიმონისაგან, არამედ სხვა რომელიმე ხილისაგან, ან მათი შემცვლელისაგან (45, 68, 89, 92, 104, 109).

ციტროლოგები ლიმონის ხარისხის განმსაზღვრელად თვლიან კანის არომატულობას, მის მცირე სისქეს, წვენი დიდ გამოსავლიანობას, მჟავიანობას, სიმწარისა და სხვა არასასიამოვნო გემოს უქონლობას. ლიმონის კარგი სამრეწველო ჯიშში უნდა შეიცავდეს არანაკლებ 6-8% ლიმონის სიმჟავეს.

ლიმონის მეცნიერული დასახელება – *Citrus limon* osb. ლიტერატურაში გვხვდება ზოგიერთი სხვა დასახელება ან სინონიმი: მაგ. *C.limonim* L., *C.vedica* var. *limonum* Hoo K.

ლიმონის წარმოშობაზე ციტრუსოლოგებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი, რადგან ფილოგენეტიკური კავშირი კულტურული ლიმონის ფორმებისა ველურად მოზარდ *citrus* – ის სახეებთან ჯერჯერობით ზუსტად არ არის დადგენილი.

ვ. ალექსეევი (1955) აღნიშნავდა, რომ არ არის სარწმუნო მონაცემები ინდოეთში ლიმონის უძველესი კულტურის არსებობისა. თანამედროვე ლიმონის ჯიშები ინდოეთში ინტროდუცირებულია ევროპიდან ან ამერიკიდან (22).

ტანაკას მიხედვით (1958) არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლიმონის პირველი საწყისი ტიპი შეიძლება წარმოშობილიყო, როგორც გადახრა ციტრონისაგან, მისთვის დამახასიათებელი არომატის დაუკარგავად და ყვავილის ტიპური თავისებური აგებულებით. ტანაკას მოსაზრება ალბათ ახლოსაა სინამდვილესთან. ის დასტურდება ინდოელი მეცნიერების გამოკვლევებით, რომლებიც ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ასკვნიან, რომ ინდოეთში ლიმონის სამრეწველო ჯიშები და მასთან ერთად ევროპიდან და ამერიკიდან ინტროდუცირებულიც, შეიცავენ ზოგიერთ ციტრონის დამახასიათებელ ნიშნებს. მაშინ, როდესაც ეს ჯიშები მკვეთრად განსხვავდებიან ადგილობრივ უხეშ ლიმონისაგან *C. jambhiri*.

პირველი ხსენება კულტურული ლიმონის მიეკუთვნება XII საუკუნის შუა პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია ტერიტორიულად თანამედროვე დასავლეთ პაკისტანის სინდის პროვინციასთან. სწორედ აქედან არაბებმა პირველად გაიტანეს ლიმონი ახლო აღმოსავლეთში, ხოლო შემდეგ ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში. სიტყვა „ლიმუნ“, როგორც მას უწოდებენ არაბები *C. limon* – ს, ლინგვისტიკური ნიშნების მიხედვით, წარმოიშვა ირანული სიტყვისაგან, რომელიც თავის მხრივ ნასესხებია ძველინდურიდან. აღნიშნული მოსაზრება განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული წარმოშობა, ასევე მისი ლიმონის კულტურის გავრცელება დასავლეთით სინდიდან ირანის გავლით ჩრდილო აფრიკაში და ხმელთაშუაზღვის სხვა დანარჩენ ქვეყნებში.

ჩინეთში ლიმონის კულტურა განვითარდა საკმაოდ გვიან XIII საუკუნეში (37, 38, 43,44).

ევროპული ქვეყნებიდან ლიმონს XII საუკუნეში ყველაზე ადრე იტალიელები და ესპანელები გაეცნენ. ახალ სამყაროში ლიმონის სამრეველო ნარგაობა მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში გაჩნდა (18).

საქართველოში ლიმონის კულტურა ცნობილი იყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში.

Citrus limon Burm. პატარა ზომის მარადმწვანე ხეს წარმოადგენს 3-5 მეტრი სიმაღლით, ახალგაზრდა ტოტები უმეტესად დაკუთხულია და ეკლები კარგად შესამჩნევია, თუმცა გვხვდება უეკლო ფორმებიც. ფოთოლი დიდი ზომისაა, ფოთლის ყუნწი თითქმის უფრთოა, ფოთოლი მოგრძო ოვალური ფორმისაა, წაწვეტილი, ღია მწვანე ფერის, სიგრძით 9-16 სმ, სიგანით 4-9 სმ, ფოთლის ფირფიტა გასრესისა გამოსცემს ლიმონის დამახასიათებელ სუნს. ყვავილები ძლიერი სურნელოვანი, ორსქესიანი, მარტოული ან ორი ერთად, ჯამის ფოთოლაკები 5, გვირგვინის ფურცლები 5, ხორციანი, შიგნიდან თეთრი, გარედან ანტოციანური შეფერვის.

ნაყოფი სიდიდისა და ფორმის მიხედვით მეტად ცვალებადობს ჯიშის, ხეზე ნაყოფის ადგილმდებარეობისა და მსხმოიარობის მიხედვით. ჩვეულებრივ კი ნაყოფი ოვალურია, მოგრძო, ორივე ბოლოთი წაგრძელებულია, ბოლოვდება ძუძუკათი, სიგრძით 7-9 სმ, დიამეტრიც 4,6-5,8 სმ. ღია ყვითელი ფერის თხელი კანით. რბილობი მჟავე, წვენი უხვი, თესლი ოვალური წაწვეტებული ბოლოთი, თესლის რაოდენობა 1-14-მდე. (50, 51, 67, 75, 78, 117) ჩვენში გავრცელებული ჯიშების უმეტესობა უცხოური წარმოშობისაა. საქართველოში გავრცელებულია შემდეგი ადგილობრივი წარმოშობის ლიმონის ჯიშები და ფორმები:

ქართული ლიმონი (სურათი №1) – ნაპოვნია ახალ ათონში, ცნობილი მონასტრის ეზოში, ლიმონის ნარგაობას შორის (36, 57, 58).

მცენარე გამოირჩევა მძლავრი ზრდით, ძირითადი ტოტების მნიშვნელოვანი ეკლებით, მსხვილი ყვავილებით, რომელთა გვირგვინის ფოთლებს სოსანის შეფერვა აქვს – ფოთლები საშუალოზე დიდი ზომის (12X4,5 სმ) ღია მწვანე, დაკბილულ კიდიანი.

ნაყოფი საშუალოდან მსხვილ ზომამდე, წონით 90-120 გრ. წაგრძელებული კვერცხისებრია, ფართო ბლაგვი ძუძუთი წვეროზე, რომელიც ერთი მხრიდან შემოვლებულია ღრმა კვალით. ნაყოფის ზედაპირი გლუვია, კანი საშუალო სისქის (5 მმ), რბილობი ნაზი, გემო სასიამოვნო, უხვწვნიანი, სეგმენტი 9-12, თესლი 1-7 ცალი. რბილობის ქიმიური შედგენილობა: შაქარი 1,7%, მჟავიანობა 6%, ვიტამინი C – 78,5 მგ%. ჯიში მაღალმოსავლიანია. ნაყოფი შენახვის უნარიანი და ტრანსპორტაბელურია, მალსეკოგამძლეობა და ყინვაგამძლეობა დაბალია.

დიოსკურია (სურათი №2) – პირველი ჰიბრიდული წარმოშობის დარაიონებული ჯიშია. მიღებულია ცნობილი სელექციონერის ფ. მამფორიასა და შ. სურგულაძის მიერ (14,69, 70). წარმოადგენს ლიმონ ქართულის და ტრიფოლიატის ჰიბრიდს.

მცენარე ძლიერ მოზარდია, ხშირი ტოტებით, ეკლები ვითარდება მხოლოდ მოზვერა ტოტებზე. ტოტები ხშირად შეფოთლილი, ფოთლები მსხვილი, კვერცხისებური, მუქი მწვანე ფერის, ყვავილები თეთრი, მტვრიანები სტერილურია. ნაყოფი ტიპური ლიმონის ფორმის 64X51 მმ ზომებით. უთესლო, ერთი ნაყოფის წონა ცვალებადობს 77 გ-დან 110 გრამამდე, რბილობი წვნიანი, არომატული, სეგმენტების რაოდენობა 8-9, კანი გლუვი, მოყვითალო ლიმონისფერი, საშუალო სისქის.

ქიმიური შემადგენლობა: შაქარი – 1,9%, მჟავიანობა – 5,6 ვიტამინი C – 50,9 მგ%. შედარებით მალსეკო და ყინვაგამძლე ჯიშია, უხმოსავლიანია, ნაყოფი შენახვის უნარიანია და ტრანსპორტაბელურია.

ლიმონის ინტროდუცირებული ჯიშებიდან განსაკუთრებით ცნობილია ჯიში მეიერი. მეიერი. ჯიში ჩინური წარმოშობისაა, ძლიერ პოლიმორფული მცენარეა, დარაიონების ძლიერ ფართო ქსელი აქვს, გავრცელებულია შუა აზიაში (10).

მცენარე საშუალო მოზარდი ბუჩქისებრი მცენარეა, კომპაქტური, კარგად შეფოთლილი ვარჯით, ზომიერი ზრდით, მოკლე ყლორტებით.



სურათი № 1
ლიმონი ქართული



სურათი № 2

ლიმონი დიოსკურია

ახალგაზრდა ყლორტებზე აქვს ანტოციანური შეფერვა, ეკლიანობა ნაკლებია ძველ ტოტებზე, მოზვერა ტოტებსა და ახალგაზრდა ნაზარდებზე კი ძლიერი. ფოთოლი საშუალო (10X5 სმ), მუქი მწვანე, მკვრივი, ლიმონის არომატიც არ დაკრავს. ყვავილები ერთეული ან ჯგუფურია ბუტონები და ყვავილები პატარებია ჩვეულებრივ ლიმონთან შედარებით. ზაფხულის ყვავილები თეთრი ან ანტოციანური შეფერილობისაა, შემოდგომის ყვავილები კი იასამნისფერია. რემონტატულია და უხმოსავლიანია.

ნაყოფი საშუალო ზომისაა (95 გ), ფართო ოვალური ფორმის, სუსტად გამოხატული ძუძუკათი. ფუძე მრგვალი, ზედაპირო გლუვი, პრიალა, კანის ფერი ნარინჯისფერ ყვითელი, მთლიანი დამწიფების შემთხვევაში მუქი ნარინჯისფერი. კანი თხელი 3 მმ, მკვრივი, ლიმონის სუნის გარეშე. რბილობი ნაზი. მოყვითალო ნარინჯისფერი, წვენი უხვი, სეგმენტი 8-10, თესლი 30-მდე. ქიმიური შემადგენლობა: შაქარი – 3,5 %, მჟავიანობა» 3-4,1 %, ვიტამინი C – 34,8 მგ/%. მოასავლიანობა მაღალი, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან 2-3 წლის შემდეგ. ტრანსპორტაბელური და შენახვის უნარიანი. მალსეკოგამძლეა. არსებულ ჯიშებთან შედარებით მეტი ცინვაგამძლეა (39).

ლიმონის ნაყოფის პირველი გამოკვლევები ეკუთვნის ონოხოვს. მისი მონაცემებით ლიმონის კანი შეადგენს მთლიანი მასის 41%-ს, ნაყოფები მაღალმჟავიანია (3,8-6,8%) დაბალშაქრიანია (0,8-3,05 %), მათ შორის საქაროზა 1%-ზე ნაკლებია მონოსაქარიდებიდან აღმოჩენილია გლუკოზა და ფრუქტოზა. ლიმონის ნაყოფის დამწიფებისას მათი შაქრიანობა არ იცვლება, ხოლო მჟავიანობა კლებულობს.

1.2. ციტრუსოვანთა ნაყოფის ქიმიური შედგენილობა

ციტრუსოვანთა ნაყოფის ქიმიური შედგენილობა წარმოადგენს ნივთიერებათა საკმაოდ რთულ კომპლექსს, რომელიც პირობითად შეიძლება დავეყოს ნივთიერებებად, რომლებშიც უშუალოდ განსაზღვრავენ ლიმონის საკვებად ვარგისი ნაწილის გემურ თვისებებს (5, 15, 21, 64, 65, 76, 90).

ექსტრაქტულ ნივთიერებებს ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ შაქრებს, ორგანულ მჟავებს და სხვა წყალში ხსნად ნივთიერებებს. მათი რაოდენობრივ თანაფარდობას და ნაყოფის წვენის გემურ თვისებებს ხშირად ერთმანეთს ადარებენ და იგი სპეციფიკურია ციტრუსოვანთა თითოეული კულტურისათვის (2, 16, 115)..

ციტრუსოვანთა ნაყოფის გემო დამოკიდებულია შაქრების და მჟავათა საერთო რაოდენობის თანაფარდობასთან (შაქარ-მჟავური ინდექსი). ლიმონისათვის ეს ინდექსი ჯიშების მიხედვით 0,3-დან 0,8-მდეა.

ციტრუსოვანთა თითოეული სახეობისათვის არსებობს სიტკბოს ხარისხის ცნება. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია კრეფის დროზე.

ციტრუსის ნაყოფის წყალში უხსნადი ნივთიერებებიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პექტინოვან ნივთიერებებს. პექტინოვანი ნივთიერებების რაოდენობის ცვალებადობა დამწიფებისა და შენახვის დროს გავლენას ახდენს ნაყოფის სიმკვრივეზე და გადამუშავებული პროდუქტის კონსისტენციაზე (59).

პექტინოვან ნივთიერებებს, მიღებულს ციტრუსის ნაყოფის კანიდან გააჩნია მაღალი ჟელირების უნარი (53, 62).

ბოლო წლებში გამახვილებულია ყურადღება პექტინის სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებზე (17, 53).

ფართო გამოკვლევებიდან დამტკიცებულია (30), რომ ციტრუსის ნაყოფის ნარჩენი წარმოადგენს პექტინის წარმოების ნედლეულს (აშშ). პექტინის საერთო რაოდენობის 4/5-ზე მეტი მზადდება ციტრუსის ნაყოფის ნარჩენიდან წვენის დამზადების დროს.

აშშ –ში პექტინისათვის მუშავდება დაახლოებით 250 ათასი ტონა ნედლი ციტრუსის კანი. პექტინის შემცველობა ნედლი ციტრუსის ნაყოფის კანში 1,5% –დან 3,0% -მდეა, ხოლო მშრალ კანში 9,0%-დან 18%-მდე.

სხვადასხვა ჯიშის ციტრუსის ნაყოფში პექტინოვანი ნივთიერებების გამოკვლევებია ჩატარებული. გამოიკვლიეს „მეიერი“-ს ჯიშის ლიმონის ნაყოფის კანისა და გამონაწნეხიდან, რომელიც წარმოიქმნება წვენის მიღებისას, პექტინის მიღების საკითხი. დაადგინეს პექტინის შემცველობა გამონაწნეხის სხვადასხვა ნაწილში (მშრალ მასაზე გადაანგარიშებით %): ფლავედო – 25,8%; ალბედო – 27,3%; აპკი – 26,5%; წვენის ტომრები – 20,4% (7).

ციტრუსოვანთა ნაყოფის კანში პექტინოვანი ნივთიერებების შემცველობა (% - ში ნედლ მასაზე გადაანგარიშებით)

ცხრილი

ნაყოფის დასახელება	სნადი პექტინი	პროტოპექტინი	პექტინოვან ნივთიერებათა ჯამი
მანდარინი „უნშიუ“	0,23	4,53	4,76
ფორთოხალი „ვაშინქტონნაველი“	0,32	4,48	4,8
ლიმონი „მეიერი“	0,422	3,18	3,40

ციტრუსოვანთა ნაყოფში შემავალ ამინომჟავებს ხშირად გამოიყენებენ მარკერებად პროდუქტის იდენტიფიკაციისათვის (82), ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ე.წ. მელანოიდურ რეაქციაში მათ მონაწილეობას (144; 148). ციტრუსოვნები სახეობის მიხედვით განსხვავებული რაოდენობით შეიცავენ ამინომჟავებს, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

ციტრუსოვანთა ნაყოფი მდიდარია ასევე ფენოლური ნაერთებით (163, 157). მათ შორის გვხვდება, როგორც მარტივი ფენოლები და ფენოლკარბონმჟავები, ასევე ფენოლური ბუნების შედარებით რთული ნაერთები: კუმარინები, ფლავანოიდები და სხვა. ციტრუსოვანთა ნაყოფისათვის უფრო მეტად დამახასიათებელი ფლავანოიდური გლიკოზიდებია: ჰესპერიდინი, ნარინგინი და ა.შ. (26, 31, 48) თუმცა ციტრუსოვანთა ნაყოფებში ნაწილობრივ და მთლიანად მეთოქსილირებული ფლავანოიდების მთელი კომპლექსია. (1,48).

რაც შეეხება მთლიანად მეთოქსილირებულ, პოლიმეთოქსილირებულ ფლავონებს, ისინი ძირითადად გვხვდება ციტრუსოვანთა ნაყოფის კანში. ციტრუსოვანთა ნაყოფის პოლიმეთოქსილირებული ფლავონების კომპლექსის შედგენილობა შედარებით დეტალურად შესწავლილი იქნა ამერიკელი მეცნიერების მიერ (40,112,113,146,156,168) ფორთოხალი ვალენსია და მანდარინი რობინსონის ნაყოფების კანიდან გამოყოფილ და იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი პოლიმეთოქსილირებული ფლავონები 3,5,6,7,8,3¹,4¹ ჰექსამეთოქსიფლავონი. 5,6,7,8,3¹,4¹ – ჰექსამეთოქსიფლავონი.

ეთერზეთების შემცველობა ციტრუსის ნაყოფში

ეთერზეთი ეწოდება პროდუქტს, რომელიც წარმოადგენს ურთიერთხსნადი ნივთიერების კომპლექსს, რომელიც არ იშლება მექანიკური ჩარევით.

ეთერზეთი მცენარის სხვადასხვა ნაწილში იყოფა შემდეგნაირად: ფოთლებში – ღებულობენ პეტრიგენის ზეთს, ყვავილიდან – ნეროლის ზეთს, კანიდან ზეთს – მცენარის სახელწოდების მიხედვით.

ციტრუსის ნაყოფიდან ეთერზეთის მიღება ხდება სამი გზით: დაწნევით, ესტრაქციით და გადადენით.

დაწნევის მეთოდით მიღებული ეთერზეთი გამოიყენება პარფიუმერიაში და კარგი ხარისხისაა, მაგრამ ეთერზეთის მხოლოდ 30% გამოდის კანიდან და მიიღება ეთერზეთის 0,8%, მაშინ როდესაც გადადენით შესაძლებელია 2,38%-ის მიღება. გადადენის მეთოდით ეთერზეთის მიღება ტექნიკურად იოლი მეთოდია, მაგრამ ეთერზეთის არომატი მცირდება გადადენის დროს მაღალი ტემპერატურის გამო და ეთერზეთში ზოგიერთი არომატული ნივთიერების გახსნით.

ციტრუსის ნაყოფის კანში ეთერზეთის ძირითადი კონსტანტა შესწავლილია მრავალი გამოკვლევებით (106,108,110,119,120,121,122, 123,127,128,132,133,134,135,141,145,151,152,153,154,158,160,161,162,164,165,166,167).

აირ-სითხური ქრომატოგრაფიული ანალიზით გამოკვლეულია საზღვარგარეთის ქვეყნების ციტრუსოვნების ნაყოფის ეთერზეთების შემადგენლობა და შედარებულია ქართულ ჯიშებზე.

ციტრუსის ნაყოფის კანში ეთერზეთის შემცველობის ძირითად კომპონენტს, რომელიც აღწევს 90% -ს, წარმოადგენს d – ლიმონენი (120).

გამოკვლეულია პროდუქტის გემური თვისებები, რომელიც შეიცავს ეთერზეთებს და განსაზღვრულია d – ლიმონენის შეგრძნების ზღვარი.

დადგენილია, რომ 10-დან 20% -მდე ციტრუსის წვენში მშრალი ნივთიერების შემცველობის დროს ზღვარი ეთერზეთის შეგრძნებისა გამომჟღავნდება მათი 0,0075 % კონცენტრაციის დროს, ხოლო დამატკობელის 40% -მდე დამატებით – 0,017%-სას (170,171).

ნ.ე. ნურსტენი თვლის, რომ აქროლადი ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრავენ ნაყოფის არომატს ძალზე მრავალფეროვანია და ტიპიურია ნებისმიერი ნაყოფისათვის. სხვა მონაცემებით სხვადასხვა ნაყოფში, რომელთა არომატს განაპირობებს აქროლადი კომპონენტები, წარმოდგენილია ძირითადად რთული ეთერებით, სპირტებითა და ალიფატური რიგის კარბონული ნაერთებით. ციტრუსოვანთა ნაყოფში ეთერზეთები უმეტესად ტერპენების სახითაა წარმოდგენილი. ლიმონის ზეთის დამახასიათებელი

არომატიც განპირობებულია ციტრალით და იზოციტრალით, ხოლო ფორთოხლისა და გრეიფრუტის ზეთის არომატიც დამოკიდებულია ნ-ოქტანოლისა და ნ-ლეკანოლის შემცველობაზე (110,147).

სხვადასხვა გამოკვლევებიდან დადგენილია, რომ ციტრუსის ეთერზეთი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც თავისი ქიმიური შედგენილობით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნახშირწყლები, სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, ეთერებს და ორგანულ მჟავები.

გამოკვლევული მასალებიდან კოფორდი და ჩანდლერიმ მოახდინეს ციტრუსების ნაყოფში ეთერზეთის კომპონენტების შეჯერება და რომელთა ძირითად წარმომადგენლებად ჩათვალეს:

- 1) მონოტერპენინი: მირცენი, α , β და γ ტერპინენი, d – ლიმონენე და სხვა.
- 2) ჰიდროქსინაერთები: ალიფატური – მეთანოლი, პროპანოლი, ჰექსანოლი და სხვა.
სპირტების წარმომებულები: ტერპენოიდები, გერანოილი, ნეროლი, ლინალონი, ტერპინეოლი და ტერპენოიდური სპირტების სხვა წარმომებულები.
- 3) კარბონილური ნაერთები: გერანიალი, ნერალი, ციტრონერალი და სხვა.
- 4) მჟავები და ეთერები: 2-ბუთილაცეტატი, ოქტილაცეტატი, ოქტილბუტილატი და სხვა.

ყველა ეთერზეთის შედგენილობაში შედის ერთი ან ორი ნივთიერება, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული კონკრეტული ეთერზეთის არომატსა და გემოს. კერტოსონიმ და მაკლეოდიმ დაადგინეს, რომ მიუხედავად გრეიფრუტისა ეთერზეთისა და ფორთოხლის ზეთის შემადგენლობის სიახლოვისა, დამახასიათებელი გემო და არომატი გრეიფრუტის ეთერზეთისა განისაზღვრება ტერპენოიდანოტრატონ კარბონილის არსებობით. გრეიფრუტის ზეთი შეიცავს ნოტატკონს 0,07-0,08%, ხოლო მაკლეოდმა (149) დაადგინა, რომ გრეიფრუტის ეთერზეთი კალიფორნიის ნარგავებიდან ნოტატრონს შეიცავს 1,8% -ის ოდენობით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეთერზეთის შემადგენლობა დამოკიდებულია მოცემული ნედლეულის სახეობაზე. მანდარინის ეთერზეთის დამახასიათებელი არომატი განისაზღვრება ანტროლინის მჟავის მეთილის ეთერის არსებობით. ამ ნივთიერების რაოდენობა იტალიური ჯიშის მანდარინში შეადგენს – 0,85% მასისა, ხოლო მანდარინის ზეთში, უნიშიუს ჯიშის ნაყოფისა საქართველოს ნარგავებიდან, მეთილოანტრანილი მჟავა თითქმის არ არის.

ლორენო და სხვები (142) აღნიშნავენ, რომ ტერპენები, რომლებიც ეთერზეთების შემადგენლობაშია განიციდან ჰაერში შემავალი ჟანგბადისაგან სწრაფ ჟანგვას. კენიონი და პროკტორგი (140) აღნიშნავენ, რომ ეთერზეთების თვითჟანგვა ჰგავს ცხიმჟავების ჟანგვას. აქედან გამომდინარე, ანტიოქსიდანტები, რომლებიც გამოიყენება ცხიმჟავების დაჟანგვისაგან დასაცავად, მისაღებია ასევე ეთერზეთისათვის. ციტრუსის ქერქის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეთერზეთებს თან ახლავს სხვადასხვა ნივთიერებები, რომელთა ფუძე არის კუმარინი და ჰეორალენი და ბევრი მათგანი ბიოლოგიურად აქტიურია.

მნიშვნელოვანი წვლილი ციტრუსის ნაყოფის ეთერზეთების შესწავლაში შეიტანა ტ.მ.დ. ნ.ბალათურიამ (25,26,31). მან დაწვრილებით გამოიკვლია, სხვადასხვა ადგილებში ციტრუსოვანი ნაყოფის ეთერზეთების შემადგენლობა და დაადგინა კანონზომიერებები მათი ცვალებადობისა ნაყოფის გადამუშავების და სხვადასხვა პროდუქტის მიღების პროცესში. ასევე მრავალმხრივ შეისწავლა შემადგენლობა და თვისებები ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის ნაყოფის გადამუშავებული ნარჩენებისა, რომლებიც იზრდება საქართველოს სხვადასხვა სუბტროპიკულ რაიონში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმასთან დაკავშირებით რაც ზემოთ არის გადმოცემული შედარებით არასაკმარისადაა ჩატარებული კვლევითი სამუშაოები ახალი მიმართულების აღმოსაჩენად ციტრუსოვნების ნაყოფებიდან მიიღონ უფრო ფართო ასორტიმენტი კვების პროდუქტებისა, მათ შორის ახალი სახის სასმელებისა.

არასაკმარისადაა შესწავლილი ლიმონის ახალი ჯიშების ეთერზეთები, რომლებიც საკმაოდ მდიდარნი არიან ექსტრაქტიული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და გააჩნიათ მაღალი კვებითი თვისებები.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ რაოდენობრივი შემადგენლობა კომპონენტებისა და აგრეთვე ზეთის გამოსავლიანობა ყვავილებისაგან დამოკიდებულია ყვავილობის პერიოდზე, შეკრების მეთოდზე და შეგროვების დროზე. გამოსავლიანობა ეთერზეთის პროცენტებში ყვავილის მასისა შეადგენს:

1. ყვავილობის პერიოდი: ყვავილობის დასაწყისში – 0,063, მასობრივი ყვავილობა – 0,072, ყვავილობის დასასრული – 0,051.
2. შეგროვების ხერხი : დაფერთხვა – 0,066, მოჭრა – 0,072, თავისით ჩამოცვენილი ყვავილები – 0,046.
3. შეგროვების დრო: 8-დან 10 სთ-მდე – 0,072, 13-დან 17 სთ-მდე – 0,065.

ციტრუსოვანთა ეთერზეთების ანტიმიკრობულ თვისებებს იკვლევდა ბევრი ავტორი. ნორდოკი და სხვა (155) ცდიდა ფორთოხლის ზეთის ფუნგიციდურ მოქმედებას და მის შემადგენლობაში შემავალ ლიმონენს საფურთან მიმართებაში. ცდებს ატარებდნენ წყალში და ფორთოხლის წვენიში. ეთერზეთი იყო აქტიური წყალში 0,02% კონცენტრაციით და ფორთოხლის წვენიში 0,1% კონცენტრაციით.

იორეტა და სხვა (159) გვიჩვენებს, რომ ეთერზეთები აფერხებენ ფორთოხლისა და ლიმონის განვითარებას.

ზელენუხა და სხვა (49) ჩაატარეს ცდები, 17 სხვადასხვა სახეობის ციტრუსოვანი ნაყოფისა და ზოგიერთი ჰიბრიდის კანისაგან ორთქლის გამოხდით მიღებული ეთერზეთების ანტიბიოტექნური აქტივობისა რიგ ტესტ-მიკრობებთან მიმართებაში. დადგინდა, რომ მიკროორგანიზმების მოქმედების შეფერხებისათვის აუცილებელია დიდი კონცენტრაციები ეთერზეთებისა, რაც უკვე მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე.

ციტრუსოვანი ეთერზეთების უდიდესი ნაწილის ფართო მოხმარება ხდება კვების მრეწველობაში უალკოჰოლო სასმელების, არყისა და ლიქიორის ნაწარმის არომატიზაციისათვის (85,105,106,139).

ამრიგად ეთერზეთების ძირითადი როლის გათვალისწინებით, ამ ნაერთის შესწავლისაკენ მიჰყვებილია დიდი ყურადღება გამოკვლევებისა. დადგენილია, შემადგენლობა და თვისებები მანდარინის, ფორთოხლისა და მათი სახეცვლა ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების დროს სხვადასხვა სახის კვების პროდუქტებზე. ამასთან ერთად არასაკმარისადაა შესწავლილი ეთერზეთები ლიმონის სხვადასხვა ჯიშში.

P – ვიტამინური ნივთიერება და ვიტამინი C

დამახასიათებელი ბიოლოგიური კვებითი ღირებულება ციტრუსოვანთა ნაყოფისა და მათი გადამუშავების პროდუქტისა არის მასში P და C ვიტამინის არსებობა, რომლებიც არიან სინეგრისტები. როგორც ცნობილია, ვიტამინი P დიდ ზემოქმედებას ახდენს ქურქლის გაჟონვადობაზე და თავისი ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება ფლავონოიდებს და ამიტომ ამ ნივთიერებებმა მიიღო დასახელება – ბიოფლავანოიდები (131). სხვა ფენოლური შენაერთებთან შედარებით ფლავანოიდები უფრო ხშირად გვხვდება ბუნებაში. ისინი შედიან ბოსტნეულის, ხილის, კენკროვნების და სხვა მცენარეული კვების პროდუქტების შემადგენლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ P ავიტამინოზი ადამიანს არც ისე გამოხატული ხასიათით აქვს, როგორც სხვა ვიტამინების ნაკლებობა. ძირითადად ვლინდება მხოლოდ ერთი დამახასიათებელი სიმპტომი – სისხლძარღვების მომატებული სიმციფე, წერტილოვანი ჩაქცევების წარმოქმნა (27,96).

დადგენილია P ვიტამინის, C ვიტამინისა და ჰორმონების (ადრენალინი, ქორთისტეროიდი) ურთიერთქმედება. არსებობს ფართო ლიტერატურა მიძღვნილი ფლავანოიდების ბიოლოგიური ეფექტის გაძლიერებისა, ასკორბინის მჟავის, ადრენალინის და ქოლესტეროლისა (28,29,48,55).

მედიცინაში ფართოდ გამოიყენება P ვიტამინის სხვადასხვა მცენარისაგან მიღებული პრეპარატები ისეთი დაავადებების დროს, რომელთაც ახლავს კაპილართა რეზისტენტულობის შემცირება (დადაბლება) და მათი გაჟონვის მომატება: ჰიპერტონული დაავადება, ათეროსკლეროზი, რევმატიზმი და სხვა (52,60,63,72,97).

ციტრუსოვანთა ნაყოფში ვიტამინი P ძირითადად ჰესპერიდინისა და ნარინგინის სახითაა წარმოდგენილი. წვენების წარმოებისას მეორადი ნედლეულიდან – გამონაწნებისაგან, შეიძლება მივიღოთ პრეპარატი P და დიეტური კვების პროდუქტები.

ხენდრიკსონი და კასტერსონი (138) აღნიშნავენ, რომ ჰესპერიდინი არის ერთი ყველაზე გავრცელებული ფლავონოიდი და ნაპოვნია 62 მცენარეულ ოჯახში, 153 გვარში და 277 სახეობაში. ჰესპერიდინი კრისტალდება უფრო ნემსების სახით, განზავებული ძმარმჟავისაგან. ის უგემურია და ამ თვისებით გამოირჩევა სხვა ფლავონინ-გლიკოზებიდან.

ციტრუსოვანთა მეორე უფრო მნიშვნელოვანი ფლავონოიდი არის ნარინგინი, რომელიც უმეტესად გრეიფუტის ნაყოფშია. ნარინგინი ადვილად ექსტრაგირებადია გრეიფუტის კანისაგან. ნაჯერი წყლის ხსნარისაგან ნარინგინი გამოიყოფა მომწარო გემოს ნებისმიერი კრისტალის სახით.

ფლავონოიდის იდენტიფიკაცია ციტრუსოვანთა ნაყოფში ხდება ქრომატოგრაფიით. ფლავონოიდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიზიკური მაჩვენებელი არის შთანთქმის სპექტრი (130). რაოდენობრივი განსაზღვრა ფლავანოიდებისა ციტრუსოვანთა ნაყოფში ხდება დევისის მეთოდით (126). ციანიდინის რეაქციით (88) ან ფარმოკოპონის სტატიით (32).

C და P ვიტამინის შემცველობის დასადგენად ჩატარებული იქნა ანალიზები, ქართული სამრეწველო ჯიშის ციტრუსოვანთა ნაყოფზე რომელთა შედეგები

მრავალწლიანი კველვისა განზოგადოებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამრეწველო სახის ყველა ციტრუსოვანთა კულტურის ნაყოფი არის მდიდარი წყარო C ვიტამინისა და ბიოფლავანოიდებისა, ამასთან ფლავანოიდების შემცველობა მნიშვნელოვნად დიდია კანში ვიდრე წვენიში (34).

ფართო კვლევები ფლავანოიდებისა იქნა ჩატარებული შალაშვილის (114) მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის მცენარეთა ინსტიტუტში. დადგენილია შემდეგი შემადგენლობა ფლავონოიდებისა, უნშიუს მანდარინის ნაყოფის რბილობში – ჰესპერიდინი, ნობილეტინი, მანდარინის ფოთოლებში – კვერცეტინი და სკოლიზინი. უნშიუს ჯიშის მანდარინის ფოთლებში ფენოლური ნაერთების ჯამური შემცველობა– 3,04%-ია.

ვიტამინების შემცველობა ციტრუსოვანთა ნაყოფში
საქართველოს ნარგავთა სამრეწველო ჯიშში
(%,მშრალ მასაზე გადაანგარიშებით)

ნაყოფის დასახელება	წვენი		ქერქი	
	ასკორბინის მჟავა	ფლავანოიდები ჰესპერინი	ასკორბინის მჟავა	ფლავანოიდები ჰესპერინი
მანდარინის ჯიში უნშიუ	0,40	2,07	0,43	9,75
ფორთოხლის ჯიში ვაშინგტონ ნაველი	0,60	1,39	0,52	7,63
ლიმონის ჯიში ახალქართული	0,64	1,84	0,55	7,05
მეიერი	0,38	0,37	0,43	5,54

1.3. ლიმონის ნაყოფის შენახვა - გადამუშავება

ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწარმოება მრავალფეროვანი პროდუქცია (54,61,99). სხვადასხვა ქვეყნის საწარმოთა ტექნოლოგიები ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან და განსხვავდება მხოლოდ წარმოების მექანიზაციის დონით. ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავება საქართველოს სუბტროპიკებში თავისებურია, რადგანაც მოსავლის აღების სეზონი მხოლოდ 1-1,5 თვეა. გადამუშავების სეზონის გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ ნედლეულის შენახვით. აღსანიშნავია, რომ ლიმონის ნაყოფი კარგად ინახება 3-5°C –ზე 85-90%

ფარდობითი ტენიანობის პირობებში. უფრო ხანგრძლივი შენახვისათვის იყენებენ გოგირდოვან ანჰიდრიდს. ასეთი ნედლეული გამოიყენება მურაბების, ჯემების და საკონდიტრო ნახევარფაბრიკატების წარმოებისათვის. სამაცივრო დანადგარებში ნედლეულს საშუალოდ 40-50 დღე ინახავენ. შემდგომი შენახვა უარყოფითად მოქმედებს ნაყოფის და შესაბამისად წარმოებული პროდუქციის ხარისხზე.

შენახვის დროს ადგილი აქვს მასის კლებას, მცირდება მშრალი ნივთიერების ჯამის და ორგანულ ნივთიერებათა შემცველობა (103), ამიტომაც შენახვისას ციტრუსოვნები ღებულობენ ე.წ. „მტკნარ გემოს“.

ციტრუსოვანთა ნაყოფის ძირითადი ნაწილი წვენებად გადამუშავდება (74;84). დროთა განმავლობაში იხვეწებოდა ციტრუსოვანთა წვენის წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგიური ხაზები. გაჭრილი ნაყოფის (80) და მთლიანი ნაყოფის დაწნევა. ციტრუსოვანთა წვენისათვის დამახასიათებელია მინარევების არსებობა (136), რომლის მოცილება (8) სასურველია ლიმონის წვენისათვის. რადგანაც გაფილტრული წვენი ხდება გამჭირვალე, ღია-ყვითელი ფერით. ასეთი წვენი განსაკუთრებით ხანგრძლივად კარგად ინახება (71).

ციტრუსოვანთა, მათ შორის ლიმონის წვენს ხშირად იყენებენ კუპაჟირებისათვის (8,98), ასევე მის გატკბილებას ახდენენ სორბიტით ან ქსილიტით (101,102,118).

ციტრუსოვანთა წვენების წარმოებისას, როგორც წესი მიმართავენ მათ კონცენტრირებას. ამასთან წვენის კონცენტრირებისას ძირითად ყურადღებას კონცენტრატის ხარისხს უთმობენ (143), რომ მისი წყლით განზავების შემდეგ მივიღოთ სასმელი, რაც შეიძლება კარგი ორგანოლექტიკური მახასიათებლებით-მაქსიმალურად მსგავსი ნატურალური წვენისა (116).

ციტრუსოვანთა წვენების კონცენტრირების მრავალ მეთოდიდან ძირითადი ტექნოლოგიური გამოყენება ვაკუუმამორთქლებელ აპარატის მეშვეობით დაბალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში წვენიდან წყლის ამორთქლებლის მეთოდს გავს. არომატულ ნივთიერებათა შენარჩუნებისათვის ვაკუუმ-ამორთქლებელ აპარატებს აქვთ ეთერზეთის დამჭერები. მიღებულ ეთერზეთს ამატებენ მზა კონცენტრატში ან სასმელში.

ციტრუსის ნაყოფის ტექნოლოგიის დარგში უკანასკნელ წლებში ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევები საფუძვლად დაედო ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების პრაქტიკულ რეალიზაციას, როგორცაა ციტრუსის გადამუშავების მცირე ნარჩენიანი და

უნარჩენო ტექნოლოგიები (100). გამოკვლევებმა დღის წესრიგში დააყენა ციტრუსოვანთა პროდუქტის ხარისხის ამაღლება, ასორტიმენტის გაფართოება და შემდგომი სრულყოფა. დიდ აქტუალობას იძენს ახალი რესურსების მოკვლევა და გამოვლენა.

მსოფლიოს სუბტროპიკულ რაიონებში ციტრუსოვანთა ნაყოფიდან გამოიმუშავენ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას (3,15,95,145). ხილის წვენების ფართო ასორტიმენტს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ციტრუსის წვენებს, რომელიც ხასიათდება როგორც მაღალი კვებითი ასევე სამკურნალო თვისებებით (61).

საზღვარგარეთ წვენების წარმოების ტექნოლოგიური ხაზები უზრუნველყოფენ დღე-ღამის განმავლობაში 1000 ტონა ნაყოფის გადამუშავებას.

საქართველოში ასეთი ქარხნების მწარმოებლობა 100 ტონას აღწევდა დღე-ღამეში. წარმოებულ პროდუქციას შორის კვებითი ღირებულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რბილობიანი წვენების, ნექტარის წარმოებას. ნატურალური ნექტარი შედგება ნაყოფის წვრილად დაქუცმაცებული ჰომოგენიზირებული რბილობის ნაწილაკებისაგან. ნექტარი შაქრით კი წვრილად დაქუცმაცებული რბილობის და შაქრის ვაჟინისაგან. გემოს გასაუმჯობესებლად ზოგიერთ ნექტარში უმატებენ ლიმონის და ასკორბინის მჟავას. ნექტარი შეიძლება იყოს ერთკომპონენტური, ორკომპონენტური, სამ კომპონენტური (15,32,43,69,71).

დასკვნის სახით შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები ციტრუსოვანთა ნაყოფის, მათ შორის ლიმონის ქიმიური შედგენილობის შესასწავლად და გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმების დასადგენად. ამ კვლევების შედეგად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწარმოება გარკვეული ასორტიმენტის პროდუქცია. თუმცა საქართველოში მოყვანილი ლიმონის ნაყოფის, განსაკუთრებით ახალი ჯიშების ნაყოფის ქიმიური შედგენილობის შესახებ და აქედან გამომდინარე მათი გადამუშავების ოპტიმალური რეჟიმებისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია მაინც ძალზე მწირია.

2. ექსპერიმენტალური ნაწილი

2.1 კვლევის ობიექტი და მეთოდები

ლიმონის მოსავლის აღებას ვაწარმოებდით ნაყოფების ტექნიკური სიმწიფის პერიოდში. ცდის თითოეულ ვარიანტში თვლით ვსაზღვრავდით ყვითელი, ყვითელ-მწვანე და მწვანე ნაყოფების რაოდენობას, ვახდენდით მოსავლის აღრიცხვას სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით. (ГОСТ 4427-82-4429-82).

ნაყოფების დეფუსტაცია – ჩაის, სუბტროპიკული და კაკლოვანი კულტურების სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის მეთოდის მიხედვით. (Москва, 1962)

ნაყოფების მექანიკურ შემადგენლობას, მშრალ მასას, ტიტრულ მჟავიანობას და ვიტამინ C –ს ვსაზღვრავდით ერმაკოვის მიხედვით (1972), ასევე ვიტამინ C –ს განსასაზღვრავად გამოვიყენეთ მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირება. შაქრებს ვსაზღვრავდით ა. მარხისა და რ. კრჟევოვის მეთოდით, მოდიფიცირებული გ. სარჯველადის და სხვათა მიერ (1973).

კვლევის შედეგად მიღებული ციფრობრივი მონაცემების მათემატიკურ დამუშავებას ვაწარმოებდით დისპერსიული ანალიზის მათოდით (Доспехов, 1973) და X^2 –ის კრიტერიუმის გამოყენებით (Лакин, 1968, Зайцев, 1984).

ლიმონის ნაყოფების აქროლად ნივთიერებათა კომპლექსს ვსაზღვრავდით აირთხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდით (ხარებავა, 1981).

საცდელი და საკონტროლო მცენარეებიდან მოკრეფილ ნაყოფს ვრეცხავდით თბილ საპნიან წყალში, რბილი ჯაგრისით და ვავლებდით გამდინარე წყალში. გასუფთავებულ კანს ვაცლიდით დანით და წყალთან ერთად ვახდენდით ჰომოგენიზირებას. ჰომოგენატს ვუკეთებდით ჰიდროდისტილიაციას ფლორენციის შუშის ტიპის მიმღებთან მინის გადამდენ აპარატში. ამ გზით მიღებულ ეთეროვან ზეთებს ვანალიზებდით აირთხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდით 55 მმ და 0,5 მმ შიდა დიამეტრის მქონე მინის კაპირალური სვეტი სტაციონალური ფაზა მეთილსილიკონის ზეთი. ანალიზისას ძირითადი პირობებით: მინის ამორთქლებელი, ამორთქლებლისა და ალოვან – იონიზაციური დეტექტორის უჯრედის ტემპერატურა 250°C, აირ-მატარებელი-ჰელიუმი, წნევა კაპილარში შესასვლელთან - 0,07 მპა 60°C –ის ტემპერატურისას. საანალიზოდ შეტანილი ეთეროვანი ზეთის სინჯის მოცულობა 0,2 მკლ. დაყოფის ტემპერატურის პროგრამირება ხდებოდა სინჯში შეტანის მომენტში 60°C – დან 20°C – მდე წუთში 2°C–ს სიჩქარის მატებით, რის შემდეგ დაყოფა გრძელდებოდა იზოთერმულ რეჟიმში. ეთერზეთების პიკების იდენტიფიკაციას ვახდენდით კოვანის ინდექსების გადაანგარიშებით დახმარებით, რომელსაც ვანგარიშობდით ვან დერ

დოლისა და კრატცის უნივერსალური ფორმულით ეთეროვანი ზეთების ნარევთა ქრომატოგრაფიისა და რეპერული C₅ – C₁₉ ნ – ალკანების საფუძველზე.

ფერმენტთა ინაქტივაციის მიზნით მცენარეულ ნიმუშებს ვაფიქსირებდით წყლის ორთქლით 1 წუთის განმავლობაში. შემდგომ ვაშრობდით ოთახის ტემპერატურაზე და ვაქუცმაცებდით. ფლავონოიდების ექსტრაქციას ვახდენდით 80 %-იანი ეთანოლით, ხოლო კატეჩინების და ლეიკოანტოციანების – ეთილაცეტატით.

ექსტრაქცია მიმდინარეობდა წყლის აბაზანაზე უკუმაცივარით. ექსტრაქტებს ვაკონცენტრირებდით ვაკუუმის პირობებში. სპირტის აორთქლების შემდეგ დარჩენილ წყლიან ხსნარს ვამუშავებდით ქლოროფორმით ქლოროფილის, კაროტინოიდების და სხვა ლიპოფილური ნაერთების მოშორების მიზნით. დიეთილეთერით დამუშავებისას კი ეთერში გადადის ფენოლკარბონმჟავები.

ფლავონოიდური ნაერთების გამოყოფას და ფრაქციონირებას ვახდენდით პოლიამიდის, სილიკაგელის და სეფადექს LH – ის სვეტებზე, სილიკაგელისა და ცელულოზას თხელ ფენაზე. სვეტისათვის ვიყენებდით პოლიამიდს, ხარკოვის გაერთიანება „Здоровье“ – ს, მიერ დამზადებულ ჩეხური წარმოების სილიკაგელს და ცელულოზა ЛК- ს (chemapol). პოლიამიდის ხსნარის სუსპენზირებას ვახდენდით წყალში. სუსპენზია შეგვქონდა მინის სვეტში და ვრეცხავდით წყლით. ფლავონოიდების შემცველ წყლიან ხსნარს ვამატებდით მშრალ პოლიამიდს და დაგვქონდა სვეტზე. ფლავონოიდების დასაყოფად ვიყენებდით პოლიამიდის სვეტს, ელუაციისათვის წყლისა და მეთანოლის ნარევს, რომელშიც მეთანოლის კონცენტრაციას თანდათანობით ვზრდიდით.

ელუატის ფრაქციების თვისობრივი შემცველობის ანალიზი კეთდებოდა „C“ და „M“ მარკის (სანკტ – პეტერბურგის ქაღალდის ფაბრიკა) ქრომატოგრაფიულ ქაღალდებზე, სილიკაგელის თხელფენოვან ფირფიტებზე Силуфол – 254 (ЧР), სილიკაგელის ფირფიტას წინასწარ ვაქტიურებდით 110⁰C 1 სთ – ის განმავლობაში. ქაღალდზე და თხელ შრეზე ქრომატოგრაფირების დროს ვიყენებდით გამხსნელთა შემდეგ სისტემებს:

- | | |
|----------------------------------|---------|
| 1. ქლოროფორმი – მეთანოლი – წყალი | 26:14:3 |
| 2. ეთილაცეტატი – მეთანოლი | 9:1 |
| 3. ბენზოლი – აცეტონი | 1:1 |

4. ქლოროფორმი – მეთანოლი	6:1
5. ქლოროფორმი – მეთანოლი – მეთილეთილკეტონი	12:2:1
6. ბუთანოლი – ძმარმჟავა – წყალი	40:12:28
7. ბუთანოლი – ძმარმჟავა – წყალი	4:1:5
8. 2 % -იანი ძმარმჟავა	
9. 15% -იანი ძმარმჟავა	
10. ფენოლი გაჯერებული წყლით	
11. ძმარმჟავა – მარილმჟავა – წყალი	5:2:3
12. ჭიანჭველამჟავა – მარილმჟავა – წყალი	5:2:3
13. ბუთანოლი – პირიდინი – წყალი	6:4:3
14. ბუთანოლი – ბენზოლი – პირიდინი - წყალი	5:1:3:3

ფლავონოიდების აღმოჩენის მიზნით, ქრომატოგრამებს გაშრობის შემდეგ ვაკვირდებოდით ულტრაიისფერ შუქზე, ალუმინის ქლორიდის 1 % -იანი ხსნარით ეთანოლში დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ (ფლავონოიდები იძლევიან ყვითელ შეფერილობას). შემდგომში ქრომატოგრამას ვასხურებდით ვანილინის 1%-იან ხსნარს კონცენტრირებულ მარილმჟავაში (კატექინები და ლეიკოანტოციანები იძლევიან ნათელ წითელ შეფერვას). ერთნაირი შემადგენლობის მქონე ფრაქციებს ვაერთიანებდით, ვაორთქლებით ვაკუუმში 40-60⁰ C, რის შემდეგ ვატარებდით დამატებით ქრომატოგრაფირებას და ვახდენდით ქრომატოგრაფიულად ერთგვაროვანი ნაერთების გადაკრისტალებას. გამოყოფილი ნაერთების იდენტიფიკაციისათვის ვიყენებდით ანალიზის შემდეგ ფიზიკო – ქიმიურ მეთოდებს:

მჟავური ჰიდროლიზი. საკვლევი ნივთიერების 2 მგ – ს ვაცხელებდით 1 მლ 2N მარილმჟავას თანხლებით წყლიან აბაზანაზე 1 სთ – ის განმავლობაში. ჰიდროლიზის დასასრულს ვამოწმებდით თფქ მეთოდით. გაცივებული ნარევიდან ვახდენდით აგლიკონის კრისტალების გამოფილტვრას. ფილტრატს ვაშრობდით და ვახდენდით ნახშირწყლების იდენტიფიცირებას ქაღალდის ქრომატოგრაფირების მეთოდით გამხსნელთა სისტემაში: ბუთანოლი – პირიდინი – წყალი (6:4:3) და ბუთანოლი – ბენზოლი – პირიდინი - წყალი (5:1:3:3). ქრომატოგრაფირების შემდეგ ქრომატოგრამებს ვაშრობდით და ვასხურებდით ანილინფტალატის რეაქტივს,

შესხურების შემდეგ ქრომატოგრამებს ვათავსებდით 105°C 5 წთ – ის განმავლობაში. ამ დროს შაქრები მჟღავნდებიან ყავისფერ და ვარდისფერ ლაქებად.


აგლიკონის ქრომატოგრაფირებას ვახდენდით სილიკაგელის ფირფიტაზე გამხსნელთა სისტემაში: ბენზოლი – მეთანოლი (4:1), ეთილაცეტატი – მეთანოლი (9:1), ქლოროფორმი – მეთანოლი – მეთილეთილკეტონი (12:2:1).

შაქროვანი ნაშთის ფლავონოლ – აგლიკონის მოლეკულასთან მიერთება მე -3 მდგომარეობაში განვსაზღვრეთ აზოტმჟავა ცირკონილთან და ლიმონმჟავასთან რეაქციების მიხედვით. ფლავონოლ -3 – გლიკოზიდს 1 მგ-ის რაოდენობით ვხსნიდით 10 მლ მეთანოლში, ვამატებდით 1 მლ აზოტმჟავა ცირკონილის და ლიმონმჟავას მეთანოლიან ხსნარებს. ხსნარს ვანზავებდით წყლით 50 მლ –მდე. უარყოფითი რეაქცია (ხსნარი რჩება გამჭირვალე) მიუთითებს იმაზე, რომ ხსნარში ფლავონოლია, რომელსაც მესამე მდგომარეობაში ჩანაცვლებული აქვს შაქროვანი ნაშთი. დადებითი რეაქცია (ხსნარი იფერება ინტენსიურად ყვითლად) მიუთითებს იმაზე, რომ ფლავონოლს მე -3 მდგომარეობაში გააჩნია თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფი.


ფლავონოიდების სტრუქტურის დასადგენად ვიყენებდით უ.ი. სპექტროსკოპიას დიაგნოსტიკური დამატებებით, ფლავონოიდთა ძირითადი კლასების სპექტრები მეთანოლში იძლევა შთანთქმის ორ მაქსიმუმს: 240-285 ნმ-ზე, რომელიც დაკავშირებულია A ბირთვის შთანთქმასთან და 300 -350 ნმ -ზე - B ბირთვის შთანთქმასთან.

ფლავონოიდების ყოველი კლასი ხასიათდება ძირითადი და დამატებითი მაქსიმუმებით. ლიტერატურაში მრავლადაა ცნობილი და ნაპოვნი ემპირიული დამოკიდებულება ფლავონოიდის სპექტრალურ მახასიათებლებსა და სტრუქტურას შორის.

ლიმონის ფენოლური ნაერთების კვლევის სქემა



არაფენოლები



დიაგნოსტიკური დამატებები („გადახრის რეაგენტები“), რომლებიც გავლენას ახდენენ ქრომოფორულ სისტემაზე, გვამღევენ საშუალებას ფლავონოიდებში განსაზღვროთ ფენოლური ჰიდროქსილის ჯგუფების განლაგება A და B ბირთვებში. მაგალითად, ფლავონების და ფლავონოლების სპექტრებში, რომლებიც შეიცავენ ჰიდროქსილს ჯგუფს ნახშირბადს C-4 ატომთან, ნატრიუმის მეთილატთან იწვევს ბატოქრომულ გადახრას I ზოლთან 45-65 ნმ-ზე. ფლავონოიდების C-7 ატომთან ჰიდროქსილის ჯგუფის არსებობის აღმოჩენა ხდება ნატრიუმის აცეტატის დამატებისას I I ზოლთან მცირე ბატოქრომული გადახრით (5-20 ნმ). ორთო - დიოქსიჯგუფების არსებობა ფლავონების და ფლავონოლების B ბირთვში შეიძლება დავადგინოთ 12-36 ნმ-ით ბატოქრომული გადახრით ბორის მჟავას (H_3BO_3) დამატებისას. ალუმინის ქლორიდის დამატებისას I ზოლში ბატოქრომული გადახრა 35 -55 ნმ მიუთითებს ფლავონოლების და ფლავონოლ -3-გლიკოზიდების მოლეკულის მე -5 ატომთან თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფის არსებობაზე, ამასთან ეს გადახრა არ იცვლება მარილმჟავას დამატებით. ამით შეიძლება განვასხვაოთ 3-გლიკოზიდები აგლიკონებისაგან.

ულტრაიისფერ სპექტრს ვიღებდით სპექტროფოტომეტრზე Becman (USA).

კომპლექსწარმომქმნელ და მაიონიზირებელ საშუალებად ვიყენებდით $AlCl_3$ -ის 10 %-იან ხსნარს მეთანოლში (1 წვეთი 2,5 მლ -ში, სპექტრს ვიღებდით 5 წუთის შემდეგ), მარილმჟავას განზავებულ ხსნარს (50 მლ HCl 100მლ წყალში, 3 წვეთი 2,5 მლ -ში) და გაღობილი ნატრიუმის აცეტატის გაჯერებულ ხსნარს მეთანოლში (13 წვეთი 2,5 მლ -ში სპექტრს ვიღებდით 10 წთ - ის შემდეგ).

L- ასკორბინის მჟავას განსაზღვრას ვაწარმოებდით ტილმანსის მეთოდით 2,6- დიოქლორფენოლინდოფენოლის საღებავის გატიტვრით , ასევე ჩვენს მიერ ადაპტირებული მაღალი წნევის სითხოვანი ქრომატოგრაფირების მეთოდით.

-ამქროლავ კომპლექსში შემავალი ნაერთების ანალიზი ტარდებოდა აირ - სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით.

-ნახშირწყლები და ორგანული მჟავები შეისწავლებოდა - ქრომატოგრაფიული მეთოდებით.

ფიზიკო-ქიმიური კვლევები ტარდებოდა შემდეგი ხელსაწყოების გამოყენებით:

- მაღალი წნევის სითხოვანი გრადიენტული ქრომატოგრაფი Beckman 332 (USA);
- სპექტრალური ანალიზი - სპექტროფოტომეტრი Millipore - Waters;
- აირ-სითხური ქრომატოგრაფი Xrom-4 (ჩეხოსლოვაკია).

ცდები ტარდებოდა 1992 – 2001 წლებში (ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ტექნიკური ბიოქიმიის განყოფილება, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტი) მიღებულ მოსავალზე 4 – ჯერადი განმეორებით. მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად.

პოლიმეთოქსილირებული ფლავონების განსაზღვრისათვის, ნაყოფს, ვაცილებდით კანს, ვაშრობდით და საანალიზოდ ვიღებდით 4 გ-ს. ექსტრაქციას ვაწარმოებდით 50 მლ რაოდენობის ბენზოლში 20 წუთის განმავლობაში, უკუმაცივარით მდულარე წყლის აბაზანაში 3-ჯერადი განმეორებით. ბენზოლის ექსტრაქტებს ვაერთიანებდით და ვაორთქლებდით მშრალ მდგომარეობამდე. ექსტრაქტიდან დარჩენილ ნაშთს ვსხნიდით აცეტონის მინიმალურ რაოდენობაში. მიღებულ ექსტრაქტს ქრომატოგრაფირებას ვუკეთებდით სილუფოლოს ფირფიტებზე (ჩეხეთი), რომლებსაც წინასწარ ვააქტიურებდით 100°C –ზე 1 სთ-ის განმავლობაში. გამხსნელად ფირფიტაზე დასაყოფად, I მიმართულებით ვიყენებდით ბენზოლ – აცეტონეს (1:1), II მიმართულებით – ჰექსან – ნ – ბუთანოლის (1:1). ქრომატოგრამებს ვაშრობის შემდეგ ვაშუქებდით ულტრაისფერ სინათლეზე (360 ნმ) ფლუორესცენციის უნარის მქონე ლაქების გამოსამჟღავნებლად. პოლიმეთოქსილირებული ფლავონების ყვითლად შესაფერად ქრომატოგრამებს ვასხურებდით ალუმინის ქლორიდის სპირტხსნარს და ვათავსებდით საშრობ კარადაში 100°C –ზე 5 წთ-ის განმავლობაში.

პოლიმეთოქსილირებული ფლავონების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრას ვაწარმოებდით მაღალეფექტური თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდით, რომელსაც წარმატებით იყენებენ ამ ნაერთების დასაყოფად. (Bianchini et al, 1980).

3. ლიმონის ნაყოფის ქიმიურ-ტექნოლოგიური დახასიათება

3.1 ლიმონ დიოსკურიას ხარისხობრივი მაჩვენებლები

ლიმონი დიოსკურია სამამულო სელექციის პირველი მალსეკოგამძლე და შედარებით ყინვაგამძლე ჯიშია. სრულყოფილად არ არის შესწავლილი მისი ბიოქიმიური თავისებურებანი, სასარგებლო თვისებები და აქედან გამომდინარე განვითარების სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა.

ლიმონ დიოსკურიას ნაყოფი, რომელიც სიდიდით უმნიშვნელოდ ჩამორჩება ლიმონ ქართულის ნაყოფს, მოგრძო ელიფსური ფორმისაა, გლუვი პრიალა ზედაპირით, აქვს საშუალო სისქის, სრული სიმწიფისას ყვითელი ფერის კანი, ნაზი, წვნიანი (37-42%) და არომატული რბილობი. ნაყოფი უთესლოა.

ნიმუში აღებულია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის საცდელ-სასწავლო მეურნეობის ნაკვეთზე (ცხრილი 1).

უფრო დეტალური გამოკვლევისათვის მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ლიმონ დიოსკურიას ბიოქიმიური თავისებურებანი ფართოდ გავრცელებულ მეიერის ჯიშთან შედარებით. ეს ნაყოფები ავიღეთ ეკოლოგიური პირობების სხვაობით - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის საცდელ-სასწავლო მეურნეობის ნაკვეთზე და სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის პლანტაციაში (ოზურგეთის რაიონი). კვლევების შედეგები მოცემულია ცხრილში.

ლიმონ დიოსკურიას ნაყოფის მექანიკური შედგენილობა და ქიმიური მაჩვენებლები

ცხრილი №1

ნაყოფის სიმალე მმ	საშუალო მასა	მექანიკური შემადგენლობა, %				წვნის შედგენილობა 100 მლ-ზე								
		კანი	რბილობი	წ ვ ე ნ ი		მშრალი მასა	ტიტრული ჭავიანობა	ვიტამინი C მგ	შაქრები, გ			ვიტამინი C მგ	მჟავიანობა	
				რბილობიდან	ნაყოფიდან				მონოზაქრები	დისაქარიდები	შაქრების ჯამი			
36	27,1	37,6	62,4	59,4	37,3	9,0	5,6	39,2	1,5	0,9	2,4	435	62,2	
42 - 36	35,2	40,0	60,0	52,6	31,6	9,45	6,0	42,4	1,9	1,1	3,0	446	68,4	
45 - 42	47,2	37,5	62,5	58,9	36,8	9,3	6,4	42,9	2,0	1,0	3,0	461	68,8	

51 - 45	60,0	31,1	68,9	56,8	39,1	9,7	6,0	41,9	1,7	1,1	2,8	432	61,8
60 - 51	76,6	36,0	64,0	68,2	43,6	10,6	6,1	42,9	2,1	1,0	3,1	405	57,5
60 - 70	114,5	31,9	68,1	65,4	44,5	10,2	6,2	45,6	2,2	0,95	3,1	447	60,8

ნაყოფის მექანიკური და ქიმიური შედგენილობა

ცხრილი №2

№	მაჩვენებლები	განზომილება	მეიერი (გურია)	დიოსკური (გურია)	მეიერი (სოხუმი)	დიოსკური (სოხუმი)
მექანიკური შედგენილობა						
1	საშუალო მასა	გ	85,95	74,6	84,4	77,7
2	კანი	%	34,3	49,1	28,8	47,1
3	რბილობი	%	65,7	51,9	71,2	52,9
4	წვნის გამოსავლიანობა ნაყოფიდან	%	42,6	27,6	47,5	32,9
5	წვნის გამოსავლიანობა რბილობიდან	%	64,9	54,2	66,7	62,2
100 მლ-ზე						
1	მშრალი ნივთიერება	%	8,8	7,5	7,9	9,4
2	ტიტრული მჟავიანობა	გ	6,1	5,2	5,3	6,4
3	ვიტამინი C	მგ	49,1	51,2	44,9	55,2
4	მონოშაქრები	გ	1,5	1,0	1,3	1,2
5	დისაქარიდები	გ	1,14	0,95	1,4	0,8
6	შაქრების ჯამი	გ	2,64	1,95	2,7	2,0
7	წვენის pH		3,5	3,3	3,7	3,4

- ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ ლიმონ მეიერის ნაყოფი (83-86გ) უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე დიოსკურია (74-78გ), ამასთან ორივე ნაყოფის საშუალო მასა ჩვენს მიერ აღებული ეკოლოგიური პირობებისათვის არ იცვლება. მეიერის ნაყოფი გამოირჩევა წვენის მნიშვნელოვნად უფრო მაღალი გამოსავლიანობით (42-47%) ვიდრე დიოსკურია (30%-მდე), ხოლო თუ შევადარებთ სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში არსებულ ნაყოფებს, ორივე ჯიშის შემთხვევაში, წვენის მეტი გამოსავლიანობით ხასიათდება სოხუმში (ემერის სასწავლო მეურნეობა) აღებული ნიმუშები (33 და 47,5% შესაბამისად).

სხვადასხვა ჯიშის ლიმონის ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლები

ცხრილი 13

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	ლიმონი მეიერი	ლიმონი დიოსკურია	ლიმონი ქართული
საშუალო მასა	გრ	112,43	73,43	99,08
კანი	%	31,92	36,66	38,42
რბილობი	%	69,08	63,34	61,93
წვენის გამოსავლიანობა ნაყოფიდან	%	63,58	60,55	55,08
წვენის გამოსავლიანობა რბილობიდან	%	43,25	38,35	34,11
მშრალი მასა - წვენში		8,90	9,00	9,10
რბილობში	%	12,00	12,30	18,00
კანში		20,70	24,10	29,00
წყალში ხსნადი ნივთიერებები :				
რბილობში	%	8,85	8,90	9,47
კანში		10,12	10,39	11,62
ტიტრული მჟავიანობა -				
წვენში		4,43	5,08	5,70
რბილობში	%	3,55	3,75	4,25
კანში		0,28	0,34	0,42
ვიტამინი C - წვენში		37,31	59,84	70,40
რბილობში	მგ/%	38,72	63,36	88,00
კანში		35,39	104,80	154,18
მონოშაქრები - წვენში		2,88	2,40	2,23
რბილობში	%	3,12	2,32	2,02
კანში		5,88	5,28	4,38
დისაქარიდები - წვენში		1,66	1,41	0,73
რბილობში	%	0,48	0,32	0,36
კანში		0,95	1,05	0,48
შაქრების ჯამი - წვენში		4,54	3,81	2,96
რბილობში	%	3,60	2,64	2,36
კანში		6,83	6,33	4,86

რაც შეეხება ნაყოფში კანისა და რბილობის შეფარდებას, გურაინთაში აღებულ ნიმუშებში კანი ჭარბობს 2-5 %-ით, შესაბამისად რბილობი უფრო მეტია სოხუმში აღებულ ნიმუშებში. საყურადღებოა, რომ კანის მეტი ხვედრითი წილის და წვნის ნაკლები ხვედრითი გამოსავლიანობის მიხედვით, ლიმონი დიოსკურია უფრო უახლოვდება ლიმონ ქართულს. წვენის მშრალი მასა სოხუმიდან აღებულ ნაყოფში (7,9


და 9,4 სოხუმი, 7,5 და 8,8 გურიანთა) უფრო მეტია. მჟავიანობის შემცველობის მიხედვით გურიანთის დიოსკურიას (5,2გ/100მლ) ნაკლები მჟავიანობა აქვს მეიერთან (6,4გ/100მლ) შედარებით, სოხუმისას კი პირიქით. C ვიტამინის შემცველობა დიოსკურიას წვენში (55,2მგ/100მლ) მეტია. რაც შეეხება შაქრების შემცველობას, იგი სოხუმში აღებულ ნიმუშებში უფრო მეტია, ხოლო ჯიშების მიხედვით ეს მაჩვენებლები მეიერის (2,64%) ნაყოფში ჭარბობს დიოსკურიას (2%).

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ სოხუმში აღებული როგორც მეიერის, ასევე დიოსკურიას ნაყოფები ხარისხობრივი მაჩვენებლებით აღემატება გურიანთაში აღებულ ნიმუშებს. C ვიტამინის და შაქრების შემცველობის მიხედვით დიოსკურია შუალედურ ადგილს იკავებს ლიმონ მეიერსა და ქართულს შორის (12,111). ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ ყველაზე არომატული და ძვირფასი ნივთიერებებით მდიდარი არის ლიმონი ქართული. ლიმონ დიოსკურიას შუალედური ადგილი უკავია ლიმონ მეიერსა და ქართულს შორის. მჟავების შემცველობით ლიმონი მეიერი შეიცავს 3,55%, ქართული – 4,25%, დიოსკურია – 3,75%, ვიტამინი C შესაბამისად 38,72 მგ/%, 88,00 მგ/%, 63,36მგ/% (ცხრილი 13)

ლიმონ დიოსკურიას ნაყოფი უთესლოა (100 ცალ ნაყოფზე 4 თესლია), როდესაც ლიმონ მეიერსა და ქართულში თესლი დიდი რაოდენობითაა. ყოველივე ეს აადვილებს ლიმონ დიოსკურიას ტექნიკურ გამოყენებას.

3.2. ლიმონის ნაყოფის ნახშირწყლები

ლიმონის ნახშირწყლების თვისობრივი შედგენლობის შესწავლა მოვახდინეთ ქრომატოგრაფირებით (12). ადსორბენტად ვიყენებდით ქალაღს და ცელულოზას თხელ ფენას, გამხსნელთა სისტემა: I-მიმართულება - n-ბუთანოლი –მმარმჟავა – წყალი (4:1:5), II-მიმართულება -n –ბუთანოლი –პირიდინი –წყალი (6:4:3). ქრომატოგრამებს გაშრობის შემდეგ ვამჟღავნებდით ანილინფტალატის და შარდოვანას რეაქტივით (შესხურების შემდეგ ვაცხელებდით 105° C-ზე). ქრომატოგრამაზე გამომჟღავნდა სამი ლაქა (ნახ. №.1), რომელთაგან ნივთიერება-1 და ნივთიერება-3 ანილინფტალატის შესხურებით შეიფერა ვარდისფრად, რაც ალდოზებისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო შარდოვანას შესხურებით ნივთიერება 2 ლურჯად – კეტოზა.



ნახ. №1. ლიმონის ნახშირწყლების დადმავალი ქრომატოგრამის სქემატური გამოსახულება, გამხსნელი სისტემა: n-ბუთანოლი-პირიდინი-წყალი (6:4:3).

1. ლიმონის ნაყოფი; 2. გლუკოზა; 3. ფრუქტოზა; 4. რამნოზა.

ლიმონის და ავთენტიკური ნახშირწყლების ქრომატოგრაფიული დახასიათება


ცხილი № 4

ნივთიერება	Rf -ის მნიშვნელობა		შეფერილობა ქრომატოგრაფზე	
	n-ბუთანოლი – მმარმჟავა – წყალი (4:1:5)	n-ბუთანოლი – პირიდინი – წყალი(4:1:5)	ანილინფტალატით შესხურებისას	შარდოვანათი შესხურებისას
ნივთიერება 1	18	30	ვარდისფერი	
ნივთიერება 2	23	34		ლურჯი
ნივთიერება 3	37	59	ვარდისფერი	
გლუკოზა	18	30	ვარდისფერი	
ფრუქტოზა	23	34		ლურჯი
რამნოზა	37	59	ვარდისფერი	

ცხრილში №4 მოცემულია ლიმონის და ავთენტიკური ნახშირწყლების ქრომატოგრაფიული დახასიათება. მიღებული მონაცემების საფუძველზე ნივთიერება-1 იდენტიფიცირებულია როგორც გლუკოზა, ნივთიერება-2 - ფრუქტოზად, ხოლო ნივთიერება-3 რამნოზად.

მიღებული შედეგების დასაზუსტებლად და რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად ვიყენებდით აირთხევადი ქრომატოგრაფირებას, რისთვისაც

ნახშირწყლების ნიმუშების ჰიდროლიზი მოვახდინეთ ტრიფტორმჟავით. შემდეგ დავამუშავეთ ნატრიუმის ბორჰიდრატის ხსნარით. ნახშირწყლების გასუფთავების მიზნით საკვლევი ხსნარი გავატარეთ კათიონიტზე და გადავიყვანეთ აცეტატურ მდგომარეობაში ძმარმჟავა ანჰიდრიდის გამოყენებით. პოლიოლების აცეტატების მიღებული ნიმუშების ანალიზს ვახდენდით აირთხევადი ქრომატოგრაფირებით კაპილარულ სვეტზე (Perkin Eimer), ალურ –მაიონიზირებელი დეტექტორი, ტემპერატურული გრადიენტი 180-290°C, წუთში 10°C-მატებით. (ნახ. №2, ცხ. №5).



ნახ. №2. ლიმონის ნაყოფის პოლიოლების აცეტატების ქრომატოგრამა. კაპილარული სვეტი ულტრა -1 (50 მ * 0,25მმ), ტემპერატურული გრადიენტი 180-290 °C.

1- რამნოზა 2- ფრუქტოზა 3- გლუკოზა

ლიმონის და ავთენტურ ნახშირწყლების აცეტატების შეკავების დრო აირთხევადი ქრომატოგრაფირებისას

ცხრილი №5

პიკის №	ნივთიერების დასახელება	შეკავების დრო, წუთი	
		ავთენტური ნივთიერება	ლიმონის ნაყოფი
1	რამნოზა	6,06	6,08
2	ფრუქტოზა	7,35	7,352
3	გლუკოზა	8,30	8,29

მიღებული შედეგების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ limonის ნაყოფი თავისუფალი სახით შეიცავს გლუკოზას (ნივთიერება 1), ფრუქტოზას (ნივთიერება 2), რამნოზას (ნივთიერება 3).

რაოდენობრივი თვალსაზრისით ლიმონის ნაყოფის შედგენილობაში დომინირებენ მონოსაქარიდები. ჯიშების მიხედვით მათი შემცველობა 25-დან 33 %-მდე მერყეობს (მშრალ მასაზე გადაანგარიშებით). მონოსაქარიდების ნახევარზე მეტი გლუკოზაზე მოდის (49-52 %), ფრუქტოზა 9 - 12 %-მდეა.

პოლისაქარიდებიდან ლიმონის ნაყოფისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მახასიათებელია მასში პექტინოვან ნივთიერებათა არსებობა. პექტინოვან ნივთიერებათა შემცველობას ვსაზღვრავდით კალციუმის პექტატის მიღების მეთოდით. ლიმონის ნაყოფში საერთო პექტინის განსასაზღვრავად ნიმუშებს წინასწარ უტარებდით ჰიდროლიზს 2 N HCl –ით. პექტინოვან ნივთიერებათა შემცველობა წვენში მერყეობს 0,25 - 0,34 %-მდე (ცხ. №6).

ლიმონის ნაყოფის კანში ხსნადი პექტინი საერთო რაოდენობის 10-15%-ია. პექტინის საერთო შემცველობა კი 5%-მდე აღწევს ქართულ ლიმონში. შედარებით ნაკლებია მეიერში (3,6-4,0%) და დიოსკურიაში (3,9-4,0%). პრინციპიალური განსხვავებები გამოწვეული ნაყოფის მოყვანის ეკოლოგიური ფაქტორებით არ შეიმჩნევა. რბილობში საერთო პექტინი 1%-ზე მეტია. ნახევარზე მეტი ჰიდროპექტინია.

პექტინის პროცენტული შემცველობა ლიმონში %-ში
ნედლ მასაზე გადაანგარიშებით

ცხრილი №6

პექტინის შემცველობა ვარიანტი	კ ა ნ ი			რ ბ ი ლ ო ბ ი			წვენში ხსნადი პექტინი
	ხსნადი პექტინი	პროტოპექტინი	პექტინის საერთო რაოდენობა	ხსნადი პექტინი	პროტოპექტინი	პექტინის საერთო რაოდენობა	
მეიერი (ოზურგეთი)	0,28	3,72	4,00	0,44	0,74	1,18	0,25
მეიერი (სოხუმი)	0,22	3,39	3,61	0,64	0,90	1,54	0,33
დიოსკურია (ოზურგეთი)	0,75	3,14	3,89	0,38	0,67	1,05	0,32
დიოსკურია (სოხუმი)	1,01	2,85	3,96	0,54	0,56	1,10	0,34
ქართული	0,63	4,68	5,31	0,41	0,80	1,21	0,20


(ოზურგეთი)							
ქართული (სოხუმი)	0,60	4,40	5,00	0,56	0,69	1,25	0,29

3.3. ლიმონის ნაყოფის ორგანული მჟავები

ორგანული მჟავები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ როგორც მცენარის ასევე ადამიანის ორგანიზმში. მისი განაწილება მცენარის სხვადასხვა ორგანოში არათანაბარია. ორგანულ მჟავათა ფიზიოლოგიური მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე და ნაყოფის გემური თვისებების ჩამოყალიბებაში არაერთგვაროვანია. მაგ: ადამიანის ორგანიზმში მჟაუნმჟავას მარილები დაგროვების შემდეგ იწვევენ არასასურველ შედეგებს.

ორგანულ მჟავათა საერთო შემცველობა ლიმონის ნაყოფის წვენში 5%-მდეა. არსებობს მონაცემები ნაყოფში ვაშლმჟავას და ლიმონმჟავას შესახებ.

ორგანულ მჟავათა შესწავლას ვახდენდით ქრომატოგრაფიული მეთოდით. თავისუფალი ორგანული მჟავების ექსტრაქციას ვახდენდით წყლით, წყლიან ექსტრაქტს ვამუშავებდით ჯერ კათიონიტით, შემდეგ კი ანიონიტით (ორგანულ მჟავათა კონცენტრირების მიზნით) საკვლევი ხსნარის ქრომატოგრაფირებას ვახდენდით ქალაღზე აღმავალი ქრომატოგრაფირებით, გამხსნელთა სისტემაში: 1. n-ბუტანოლი - ჭიანჭველამჟავა – წყალი (18:3:15), 2. მეთანოლი –ამიაკი –წყალი (80:5:15). საკვლევ ხსნართან ერთად ვახდენდით ავთენტის კარბონმჟავათა (ლიმონმჟავა, ვაშლმჟავა, მჟაუნმჟავა, ღვინისმჟავა, მალონმჟავა) ქრომატოგრაფირებას (ნახ. №2). გამრობის შემდეგ ქრომატოგრამას ვამჟღავნებდით მეთილის ლურჯით, ვდებულობდით ყვითლად შეფერილ ლაქებს. თითოეულისათვის გამოითვლებოდა Rf-ის მნიშვნელობა.



ნახ. №2. ორგანულ მჟავათა ადმავალი ქრომატოგრამის გრაფიკული გამოსახულება, გამხსნელი სისტემა: n – ბუთანოლი – ჭიანჭველამჟავა – წყალი (18:3:15)


1. limonis ნაყოფი; 2. ვაშლმჟავა; 3. მალონმჟავა;
 4. მჟაუნმჟავა; 5. ლიმონმჟავა.

აირთხევადი ქრომატოგრაფირებისათვის (ქრომატოგრაფი Heu Lett Pekard 5890) საკვლევ ხსნარში კარბონმჟავები გადაგვყავდა მეთილის ეთერში, რისთვისაც საკვლევ ხსნარებს ვამუშავებდით ჯერ კათიონიტით KY-2 (H⁺ ფორმა), შემდგომ ანიონიტით Dayex 1* 4 (CO₂²⁻ ფორმა). ორგანულ მჟავათა ადსორბირებისათვის ფორებს ვრეცხავდით წყლით და შემდეგ 0,2 M მარილმჟავათი. ვაორთქლებდით, ვამატებდით უწყლო პირიმიდინს და ტრიფტორაცეტამიდს (10წთ 30° C-ზე). აღწერილი მეთოდით იყო მომზადებული „ მოწმეთა “ ნიმუშებიც (მჟაუნმჟავა, მალონმჟავა, ფუმარმჟავა, ვაშლმჟავა,

ლიმონის ნაყოფის და ავთენტურ კარბონმჟავათა ქრომატოგრაფიული დახასიათება

ნივთიერებათა დასახელება	შეფერილობა მეთილის ლურჯთან	Rf x 100 მნიშვნელობა	
		n – ბუთანოლი – ჭიანჭველამჟავა – წყალი. (18:3:15)	ბუთანოლი – ამიაკი – წყალი (80:5:15)
1. ნივთიერება 24	ყვითელი	12	7

2. ნივთიერება 25	ყვითელი	03	38
3. ნივთიერება 26	ყვითელი	72	18
4. ნივთიერება 27	ყვითელი	83	22
მჟაუნმჟავა	ყვითელი	12	6
ლიმონმჟავა	ყვითელი	03	40
ვაშლმჟავა	ყვითელი	72	18
მალონმჟავა	ყვითელი	84	22



ნახ. № 3 . ლიმონის ნაყოფის კარბონმჟავათა მეთილის ეთერების აირთხევადი ქრომატოგრამა, კაპილარული სვეტი ულტრა I (0.25მმ*50მ), ტემპერატურული გრადიენტი 200-300° C. 1- მჟაუნმჟავა; 2-მალონმჟავა; 3- ვაშლმჟავა; 4- ლიმონმჟავა;

ლიმონმჟავა, ღვინისმჟავა, გალაქტურონის მჟავა). მიღებული ხსნარის ქრომატოგრაფირებას ვახდენდით აირთხევად ქრომატოგრაფზე, კაპილარული სვეტით და მაიონიზირებელი დეტექტორით, ტემპერატურული გრადიენტით 200-300° C, 15° C/წუთში მატებით (ნახ. 3). განვსაზღვრეთ საკვლევ ხსნარში კომპონენტთა და ავთენტურ კარბონმჟავათა შეკავების დრო (ცხრილი №7) საკვლევ ხსნარების ქრომატოგრამებს ვადარებდით სტანდარტულ ნივთიერებათა და მათი ნარეგების ქრომატოგრამებს.

ლიმონის ორგანულ მჟავათა მეთილის ეთერების აირსითხური ქრომატოგრაფიული დახასიათება

ცხრილი №7

პიკის №	ნიმუშის დასახელება	შეკავების დრო, წუთში
---------	--------------------	----------------------

		ავთენტიკური	საკვლევი ხსნარი
1	მჟაუნმჟავა	3,57	3,56
2	მალონმჟავა	5,41	5,43
3	ვაშლმჟავა	7,39	7,40
4	ლიმონმჟავა	10,28	10,27

მჟაუნმჟავასათვის და პიკის №1 შეკავების დრო 3,57 წთ –ია, მალონმჟავასათვის და პიკის №2 – 5,41 წთ -ია, ვაშლმჟავასათვის და პიკის №3 -7,39 წთ –ია, ლიმონმჟავასათვის და პიკის №4 -10,28 წთ –ია.

მიღებული შედეგების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიმონის ნაყოფის შემადგენლობაში თავისუფალი სახით იდენტიფიცირებულია მჟაუნმჟავა, ვაშლმჟავა, ლიმონმჟავა და მალონმჟავა.

ტიტრული მჟავიანობა ლიმონის ნაყოფის წვენში საკმაოდ მაღალია – 5,2-6,4 % (ცხრილი №7). დომინირებს ლიმონმჟავა, რომელზეც ორგანულ მჟავათა ნახევარი მოდის – 2,0 %. ლიმონის ნაყოფის გადამუშავების პროცესში ორგანული მჟავები მნიშვნელოვან რაოდენობრივ და თვისობრივ გარდაქმნებს არ განიცდიან.

3.4. ლიმონის სხვადასხვა ჯიშების მეთოქსილირებული

ფლავონები


ციტრუსოვან მცენარეთა ძირითად ფლავანოიდურ ნაერთებს ფლავანოიდური გლიკოზიდები შეადგენენ. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფის კანი და ფოთლები შეიცავენ მეთოქსილირებული ფლავანოიდების მრავალფეროვან კომპლექსს, თუმცა ამ ნაერთების რაოდენობრივი შემცველობა მცირეა. ამჟამდ არსებული მონაცემების მიხედვით მანდარინის და ფორთოხლის ნაყოფების კანიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია 30-ზე მეტი მეთოქსილირებული ფლავონი და ფლავონოლი (1-3). როგორც ცნობილია, ციტრუსოვან მცენარეთა ზოგიერთ სახეობაში აღმოჩენილ მეთოქსილირებულ ფლავონებს აქვთ ფუნგისტატიკური აქტივობა და დაავადება „მალსეკოს“ გამომწვევ სოკოს *Phoma tiacheiphila* –ს მიმართ (4-6). ზემოთთქმულიდან გამომდინარე ჩვენი სამუშაოს მიზანს შეადგენდა ლიმონის სამი სხვადასხვა ჯიშის (მეიერი, დიოსკურია და ქართული) მეთოქსილირებული ფლავონების თვისობრივი შედგენილობის გამოკვლევა, ვინაიდან ლიმონის ეს ჯიშები

ხასიათებიან განსხვავებული მალსეკოგამძლეობის უნარით. ქართული ჯიშის ლიმონი მეტად მგრძობიარეა დაავადება „მალსეკოს“ მიმართ, ხოლო მეიერი და დიოსკურია კი შედარებით გამძლე ჯიშებია.

ლიმონის სამივე ჯიშის ნაყოფების და ფოთლების საანალიზო ნიმუშები შეგროვდა ქ. სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ემერის საცდელ-საწარმოო მეურნეობის ნაკვეთზე. თითოეული ჯიშის ნაყოფის კანი და ფოთლების 100-100გ დამუშავდა თხევადი აზოტით, დაქუცმაცდა, დაემატა 200-200 მლ, ეთანოლი და ფიქსაციის მიზნით წამოდულდა წყლის აბაზანაზე 20 წუთის განმავლობაში. მიღებული ექსტრაქტები გაფილტვრის შემდეგ აორთქლდა როტაციულ ამორთქლებელზე. მშრალი ნაშთი გაიხსნა 100მლ წყალში და წყალხსნარს გაუკეთდა ექსტრაქცია ქლოროფორმით გამყოფ ძაბრში 3-ჯერ (თითოეული ექსტრაქცია 50მლქლოროფორმით). მცენარეული მასალის ნარჩენიგაშრა და გაუკეთდა ექსტრაქცია ქლოროფორმით (3X200 მლ) მადულარ აბაზანაზე უკუმაცივარით. ქლოროფორმის ექსტრაქტები გაერთიანდა და აორთქლდა 25 მლ-ის მოცულობამდე. მიღებული ექსტრაქტების მეთოქსილირებული ფლავონების თვისობრივი შედგენილობა შესწავლილი იქნა სილიკაგელის ფირფიტებზე (Silufol 254) თხელფენოვანი ორგანზომილებიანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. გამხსნელი სისტემები: I მიმართულებით-ბენზოლისა და აცეტონეს (3:1), ხოლო II მიმართულებით ჰექსანისა და ბუთანოლის (4:1) ნარევები. ქრომატოგრამებზე მეთოქსილირებული ფლავონების აღმოსაჩენად ვიყენებდით 1% ალუმინქლორიდის შემცველ ეთანოლის ხსნარს. შესხურების შემდეგ ფირფიტებს ვაცხელებდით 100°C. ასეთ პირობებში მეთოქსილირებული ფლავონები ღებულობენ ყვითელ შეფერილობას.

როგორც (1) მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მეიერის დიოსკურიას და ქართული ჯიშის ლიმონის ნაყოფების კანსა და ფოთლებში აღმოჩენილია 17 მეთოქსილირებული ფლავონი, რომელთაგან 10 იდენტიფიცირებულია (7), ხოლო დარჩენილი 7 ნაერთის იდენტიფიკაცია კი მიმდინარეობს. იდენტიფიცირებული ნაერთებია №1-5,7,8,3¹,4¹ პენტამეთოქსიფლავონი, №2-5,7,8,4¹ – ტეტრამეთოქსილფლავონი, №6-5,7,7,3¹,4¹ – პენტამეთოქსილფლავონი, №9-3,5,6,7,3¹,4¹, ჰექსამეთოქსიფლავონი №10-5,6,7,4¹ – ტეტრამეთოქსიფლავონი, №11-3,5,6,7,8,3¹,4¹ –ჰექსამეთოქსიფლავონი, №12-5,6,7,8,4¹, პენტამეთოქიფლავონი №15-5,-ოქსი-6,7,8,3¹,4¹, პენტამეთოქსიფლავონი და №16-5 ოქსი - 3,7,8,3¹,4¹ – პენტამეთოქსიფლავონი. თუ შევადარებთ სამივე ჯიშის ლიმონის ნაყოფის

კანს და ფოთლების ორმხრივი ქრომატოგრამების სქემებს შევამჩნევთ, რომ ცალკეული ჯიშის ნაყოფის კანის და ფოთლების



ნახ. 14 ორმაგი თხელფენოვანი ქრომატოგრამა სილიკაგელის (Silufol 254) ფირფიტაზე, გამხსნელთა შემდეგ სისტემაში:

I - მიმართულება – ბენზოლ-აცეტონი (3 : 1),

II მიმართულება – ჰექსან – ბუთანოლი (4 : 1)

- 1.1. მეიერის ნაყოფის კანის ქლოროფორმის ექსტრაქტი.
- 1.2. მეიერის ფოთლის ქლოროფორმის ექსტრაქტი.
- 1.3. ქართულის ნაყოფის კანის ქლოროფორმის ექსტრაქტი.
- 1.4. ქართულის ფოთლის ქლოროფორმის ექსტრაქტი.

1.5. დიოსკურიას ნაყოფის კანის ქლოროფორმის ექსტრაქტი.

1.6. დიოსკურიას ფოთლის ქლოროფორმის ექსტრაქტი.

მეთოქსილირებული ფლავონების თვისობრივი შედგენილობა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა სამივე მცენარეში ნაყოფის კანი უფრო მდიდარია მეთოქსილირებული ფლავონებით. მეიერის, დიოსკურიას და ქართული ჯიშის ლიმონის ნაყოფის კანი და ფოთლები შეიცავს შესაბამისად 12 და 9, 6 და 5, 8 და 5 მეთოქსილირებულ ფლავონს. მეიერის და ქართული ლიმონის ნაყოფის კანი ფოთლებისაგან განსხვავებით შეიცავს სამ-სამ არაიდენტიფიცირებულ მეთოქსილირებულ ფლავონს (შეასბამისად №4, 5, 7 და №5, 13, 14), ხოლო დიოსკურიას ფოთლებში კი ნაყოფის კანისაგან განსხვავებით არ აღმოჩნდა 5, 7, 8, 3, 4¹ – პენტამეთოქსიფლავონი (№1) და ტარვენეტინი (№12). მათ ნაცვლად დიოსკურიას ფოთლებში ნაპოვნია ერთი არაიდენტიფიცირებული ნაერთი (№7).

სამივე ჯიშის ლიმონის ნაყოფის კანისა და ფოთლების მეთოქსილირებული ფლავონების თვისობრივი შედგენილობის ერთმანეთთან შედარებისას (ნახ.№4) ნათლად ჩანს, რომ დიოსკურიას ნაყოფის კანი და ფოთლები შეიცავენ თითქმის იგივე ნივთიერებებს, რომლებიც აღმოჩნდა მეიერის ლიმონში. ამასთან, მეიერის ნაყოფის კანის და ფოთლების მეთოქსილირებული ფლავონების შედგენილობა ორჯერ სჭარბობს დიოსკურიას ნაყოფის კანის და ფოთლების მეთოქსილირებულ ფლავონებს. ამ ორი ჯიშის ლიმონს თუ შევადარებთ ქართულ ლიმონს შევამჩნევთ, რომ ეს უკანასკნელი მეთოქსილირებული ფლავონების თვისობრივი შედგენილობის მიხედვით მკვეთრად განსხვავდება მათგან. ეს განსხვავება განპირობებულია ქართულ ლიმონში ისეთი მეთოქსილირებული ფლავონების არსებობით, რომლებსაც მოლეკულის მე-5 მდგომარეობაში ჩანაცვლებული აქვს ჰიდროქსილის ჯგუფი. ეს ნაერთია 5 - ოქსი - 6, 7, 8, 3¹, 4¹ პენტამეთოქსიფლავონი (№15), 5 – ოქსი – 3, 7, 8, 3¹, 4¹ – პენტამეთოქსიფლავონი (№16) და ორი არაიდენტიფიცირებული ნაერთი (№13 და №14), რომლებიც ალბათ მიეკუთვნებიან 5 – ოქსიმეთოქსილირებული ფლავონების ჯგუფს. ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებით (6) 5 – ოქსი – 6, 7, 8, 3¹, 4¹ პენტამეთოქსიფლავონი. არ ხასიათდება ფუნგის სტატიკურობით. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ქართული ჯიშის ლიმონის ნაყოფის კანსა და ფოთლებში არ აღმოჩნდა ისეთი, ფუნგისტატიკური მეთოქსილისებური ფლავონები, როგორცაა ნობილეტონი (№8) და ტანგერეტინი

(№12), მაშინ როცამეიერისა და დიოსკურიას ნაყოფის კანსა და ფოთლებში ეს ორივე ნაერთი გვხვდება.

შესაძლებელი გახდა მეთოქსილირებული ფლავანოიდების დაყოფა მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფირების მეთოდით.

ამრიგად, მიღებული მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ მეიერის, დიოსკურიასა და ქართული ჯიშის ლიმონის მეთოქსილირებულ ფლავონებსა და მალსეკოგამძლეობას შორის არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი. მეიერის ლიმონი, რომელიც შეიცავს მეთოქსილირებული ფლავონების მრავალფეროვან კომპლექს უფრო გამძლეა დაავადებებისადმი, ვიდრე ქართული ლიმონი, რომელიც არ შეიცავს ფუნგისტატიკურ მეთოქსილირებულ ფლავონებს. ლიმონ დიოსკურიას კი უკავია შუალედი ადგილი ამ ორ მცენარეს შორის, როგორც მეთოქსილირებული ფლავონების შემცველობის თვასაზრისით ისე მალსეკოგამძლეობით.

შესწავლილ ლიმონებში მეთოქსილირებულ ფლავანოიდებსა და მალსეკოგამძლეობას შორის არსებული კორელაცია შეიძლება გამოყენებული იქნას სელექციურ-გენეტიკურ მუშაობაში.

3.5. L – ასკორბინის მჟავა ლიმონის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფში და მისი ცვალებადობა ნაყოფის გადამუშავების პროდუქტებში

ლიმონის ნაყოფი გამოირჩევა სხვა ხილისაგან მასში ვიტამინი C –ს (ასკორბინის მჟავას) მაღალი შემცველობით. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიანიშნებენ ამ ნივთიერების კანში დაგროვების შესახებ. ასკორბინის მჟავა ძალზე ლაბილური ნაერთია, ამიტომ მისი განსაზღვრის მეთოდულად დროის ფაქტორი და დამატებითი რეაქტივების გამოყენება მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. დღეისათვის ანალიზის სიზუსტისათვის, ასევე დროისა და რეაქტივების დაზოგვის მიზნით მიმართავენ მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდს.

სამუშაოს მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა საქართველოში გავრცელებულ სამრეწველო ჯიშებში L – ასკორბინის მჟავას (ვიტამინი C) რაოდენობრივი შემცველობა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდით.

საანალიზოდ ვიღებდით გურიის რეგიონში და აჭარაში გავრცელებული „ახალქართული“, „მეიერი“ და „დიოსკურია“-ს ჯიშის ლიმონის ნაყოფს.

L –ასკორბინის მჟავას განსაზღვრა მაღალი წნევის სითხოვანი ქრომატოგრაფირების მეთოდი პრაქტიკულად არ იწვევს ძალზე ლაბილური ნაერთის ადვილად დაშლას (48), რაც თავის მხრივ გამოორიცხავს შეცდომებს საკვლევ ობიექტში რაოდენობრივი განსაზღვრისას. მეორეს მხრივ L –ასკორბინის მჟავას განსაზღვრისათვის გამოყენებული რეაქტივები ხანგრძლივად არ ინახება და საჭიროებენ ხშირ განახლებას. ასევე გართულებულია L –ასკორბინის მჟავას განსაზღვრა შეფერილ ხსნარებში.

მცენარეულ ნედლეულში ასკორბინის მჟავა გვხდება როგორც თავისუფალი, ასევე სხვადასხვა ნივთიერებებთან შეკავშირებული სახით (ბმული). თავისუფალი ასკორბინის მჟავას ექსტრაქცია ადვილად მიმდინარეობს და ის იტიტრება ტილმანსის საღებავით, ისაზღვრება მწს ქრომატოგრაფირებით. ნიმუშის 2%-იანი მარილ მჟავათი დამუშავებით ბმული ასკორბინის მჟავა გამონთავისუფლდება და იტიტრება თავისუფალ ასკორბინის მჟავასთან ერთად.

ტილმანსის საღებავით ასკორბინის მჟავის განსაზღვრისათვის ვღებულობდით ნაყოფს (2გ), ვაქუცმაცებდით, ვასხამდით 10მლ 2%-იანი მარილმჟავას (საერთო ასკორბინის მჟავა) ან 10 მლ წყალს (თავისუფალი ასკორბინის მჟავა) და ვახდენდით ჰომოგენიზირებას. მიღებულ გამონაწვლილის ალიკვოტს ვტიტრავდით ტილმანსის საღებავით. (56)

ასევე L-ასკორბინის მჟავას განსაზღვრას ვახდენდით გრადიენტურ სითხოვან ქრომატოგრაფზე Beckman 332 (USA). მაღალი წნევის სითხოვანი ქრომატოგრაფირებას ვახდენდით შებრუნებულ ფაზიანი სვეტით Bondapac C₁₈, მოძრავ ფაზად ვიყენებდით გამხსნელთა სისტემას მეთანოლი:წყალი (75:25) (52;62;72). დეტექტირება 254-ნმ –ზე (ნახ. №.1). საანალიზოდ ნიმუშებს ვამზადებდით ისევე როგორც ეს ტილმანსის მეთოდით არის გათვალისწინებული, შემდეგ ვუკეთებდით ცენტრიფუგირებას 2-3წთ-ის განმავლობაში 3000-5000 ბრ / წთ –ით. სუპერნატანტს ვუშვებდით მემბრანულ ფილტრში (Диапак Россия), (0,45მკმ), რაც ხელს უწყობდა ქრომატოგრაფიული სვეტის ექსპლუატაციის დროის გახანგრძლივებას.

მწსქ გამოყენებით L-ასკორბინის მჟავას იდენტიფიკაციისათვის საუკეთესო შედეგები მიღებული იქნა მეთანოლი : წყალი (3:1) თანაფარდობით (10;69;70) ასკორბინის მჟავა გამოიყო როგორც მკაფიო და ცალკეული პიკი, რომლის შეკავების დრო საშუალოდ 3წთ – 20წმ. (ცხრილი №8), (ნახ. №.5) ის მცირდება ან იზრდება საკვლევ ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციის შესაბამისად.

ასკორბინის მჟავას განსაზღვრისას ტილმანსის საღებავით და მწსქ მიღებული იქნა იდენტური შედეგები. (ცხრილი № 8)

ლიმონის ნაყოფის L-ასკორბინის მჟავას ქრომატოგრაფიული დახასიათება,

სვეტი Bondapak C₁₈. მოძრავი ფაზა MeOH:H₂O (75:25)

დეტექტორება 254 ნმ. წნევა 1000 psi

ცხრილი №8

ნ ი მ უ შ ი	ნივთიერების შეკავების დრო, წთ.		პიკის ფართობი, სმ ²	
	პიკის ნომერი			
	1	2	1	2
L-ასკორბინის მჟავა – 0,01 მგ/მლ	-	3,17	-	0,55
L-ასკორბინის მჟავა – 0,02 მგ/მლ	-	3,17	-	1,05
L-ასკორბინის მჟავა – 0,03 მგ/მლ	-	3,20	-	1,65
L-ასკორბინის მჟავა – 0,04 მგ/მლ	-	3,20	-	2,00
ლიმონის წვენი	3,05	3,25	1,12	1,98
ლიმონის წვენი + L-ასკ. მჟავა 0,005მგ/მლ	3,00	3,30	1,20	2,20

მწსქ დროს აღმოჩენილი იქნა კორელაცია ასკორბინის მჟავას რაოდენობრივ შემადგენლობასა და ქრომატოგრამაზე პიკის ფართობს შორის, რამაც საშუალება მოგვცა აგვეგო საკალიბრო მრუდი (ნახ. №5) და L-ასკორბინის მჟავას რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოგვეყენებინა შემდეგი ფორმულა:

$$X = \frac{0.019 \cdot fV}{a}$$

სადაც : X- L –ასკორბინის მჟავას შემცველობა მშრალ მასაზე


გადაანგარიშებით მგ/გ .

V- საანალიზო ექსტრაქტის საერთო მოცულობა მლ.


a – ნიმუშის მასა გ .

f – ქრომატოგრამაზე L –ასკორბინის მჟავას ფართობი სმ² .

0,019 - კორელაციის კოეფიციენტი პიკის ფართობსა და L –
ასკორბინის მჟავას კონცენტრაციას შორის.



ნახ. №.5. L –ასკორბინის მჟავას რაოდენობის განსაზღვრის საკალიბრო მრუდი.



№.6. L - ასკორბინის მჟავას მწესე სვეტი: Bondapak C₁₈, მოძრავი ფაზა: მეთანოლი –
წყალი (75:25), დეტექტირება 254ნმ, წნევა 10 psi.

ა - L - ასკორბინის მჟავა 0,01 მგ/მლ ; ბ – L - ასკორბინის მჟავა 0,02 მგ/მლ;

გ – L - ასკორბინის მჟავა 0,03 მგ/მლ; დ – L - ასკორბინის მჟავა 0,04 მგ/მლ;

ე - ლიმონის წვენი; ვ - ლიმონის წვენი 24 სთ – ით გაჩერების შემდეგ.

ზ- ლიმონის წვენი + L – ასკორბინის მჟავა

ორგანოლექტიკური, ფიზიკური მახასიათებლები და

ვიტამინ C –ს შემცველობა სხვადასხვა ჯიშის

ლიმონის ნაყოფში

ცხრილი №9

მაჩვენებლები	ლიმონის ჯიშები		
	ახალქართული	მეიერი	დიოსკურია
ნაყოფის ფორმა	მომრგვალო წაგრძელებული ბოლოთი	მომრგვალო	მომრგვალო წაგრძელებული ბოლოთი
ნაყოფის შეფერილობა	მოყვითალო	ყვითელი	მოყვითალო
არომატი	სასიამოვნო დამახასიათებელი	სასიამოვნო დამახასიათებელი	სასიამოვნო დამახასიათებელი
გემო	ძლიერ მჟავე	ძლიერ მჟავე	მჟავე
საშუალო მასა გ - ში	114	75,4	75
კანის სისქე, მმ	7	4	5
რბილობის % ნაყოფში	58	82,1	55,1
წვენის გამოსავალი %	24,5	42,5	25,2
ვიტამინ C მგ/100გ ნაყოფში	147,5	45,5	49,1
ვიტამინ C მგ/100მლ წვენში	64,4	41,4	44,9

ლიმონის ნაყოფი ფორმით ერთმანეთს ახალქართული და დიოსკურია წააგავს, იგივე ითქმის მეიერისა და მონაკელოს ნაყოფების მიმართ. შეფერილობითაც ეს წყვილი გვაქვს მოყვითალო და ყვითელი შეფერილობით. ლიმონის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფის არომატითა და გემოთი ისინი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნაყოფი შედარებით დიდი აქვს ახალქართულს, თუმცა მასში 40 % - ზე მეტი კანზე მოდის. ასევე განსხვავდება ჯიშები წვენის გამოსავლიანობით. დიდი რაოდენობით წვენს იძლევა მეიერი (42 %), მაშინ, როდესაც ახალქართული და დიოსკურია თითქმის ორჯერ ნაკლებს (24,5% და 25,2% შესაბამისად).

ვიტამინი C –ს შემცველობით ახალქართული და დიოსკურია (147 და 136 მგ/100 გ-ში) ჭარბობს მეიერს (45 გ/100 გ-ში), ასევე განსხვავდება ამ ნაყოფებიდან მიღებული წვენი ვიტამინი C –ს შემცველობით ახალქართულსა და დიოსკურიაში (64,4 და 45 მგ/100 მლ) მეტია ვიდრე მეიერში.

ვიტამინ C –ს შემცველობა ლიმონის ნაყოფის გადამუშავების პროდუქტებში

ცხრილი №10

პროდუქციის დასახელება	ვიტამინი C	
	მგ/100გ პროდუქტში	მგ/100გ პროდუქტში მშ. მასაზე გადაანგარიშებით
ლიმონის წვენი	32	320
ლიმონის ნექტარი	17	65
ლიმონის კომფიტიური	12	34

ლიმონის ნაყოფის გადამუშავებას ვახდენდით წვენად, ნექტარად და კოფიტურად. ნატურალური წვენი ვერ უნარჩუნებენ C-ს იმ რაოდენობას, რაც ახლად მიღებულ წვენშია. ბუნებრივია თერმოლაბილური L - ასკორბინის მჟავა წვენის გაცხელებისას იჟანგება. აუცილებელია წვენში ვიტამინ C -ს მაქსიმალური რაოდენობის შესანარჩუნებლად წვენი მყისიერად გაცხელდეს, რაც ამცირებს მისი ჟანგვის ინტენსივობას.

ნექტარში და კომფიტიურში ვიტამინ C შემცველობა ნაკლებია, რაც ნაწილობრივ განპირობებულია გაცხელების ეფექტით, მეორეს მხრივ მასის შაქრით განზავებით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ახალქართულ და დიოსკურიას ჯიშის ლიმონის ნაყოფი სასურველია გამოყენებული იქნას ნედლად, ხოლო მეიერი და გადამუშავდეს. გადამუშავებულ პროდუქტში ვიტამინ C მეტი რაოდენობით ნარჩუნდება წვენში, თუ პროდუქტის თერმული დამუშავების დრო შემცირდება.

3.6 ეკოლოგიური პირობების გავლენა ლიმონების – მეიერის, დიოსკურიას და ქართულის

ნაყოფის ეთეროვანი

ზეთის შედგენილობაზე

როგორც ცნობილია, ზრდის ეკოლოგიური პირობები გარკვეულ გავლენას ახდენენ მცენარეზე. ამა თუ იმ ეკოლოგიური რაიონის ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებების მიხედვით, ერთი და იგივე სახეობისა და ჯიშის მცენარეები შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, კერძოდ, ქსოვილების ქიმიური შედგენილობით.

ლიმონის სამი ჯიშის – მეიერის, დიოსკურიისა და ქართულის ნაყოფის აქროლადი კომპლექსის შედგენილობაზე ეკოლოგიური პირობების შესაძლებელი გავლენის შეფასებისათვის. ერთნაირად მწიფე ნაყოფების ნიმუშები შეგროვილი იქნა 1988 წლის

ნოემბერის ბოლოს სოფელ გურაინთაში (ოზურგეთის რაიონი) და ქ. სოხუმის მიდამოებში (აფხაზეთის ასსრ).


ლაბორატორიებში ნაყოფს გულდასმით ვრეცხავდით თბილი წყლით, ხოლო შემდეგ სპეციალური დანით თანაბარ სისქეზე ვაცილებდით კანს. ვახდენდით კანის 100 – გრამიანი წონაკის წყლით ჰომოგენიზაციას, ჰომოგენატი გადაგვექონდა შუშის გამოსახდელ აპარატში და ვადისტლირებდით (გამთბობის სიმძლავრე – 0,4 კვტ, დისტლიატის მოცულობა – ჰომოგენატეს საწყისი მოცულობის 10%). ეთეროვან ზეთებს ვაგროვებდით ერთზე ნაკლები ხვედრითი მასის მქონე ზეთებისათვის განკუთვნილი ფლორენტიული შუშის ტიპის მიკრომიმღების მეშვეობით, ვაშრობდით უწყლო, ქიმიურად სუფთა გოგირდმჟავა ნატრიუმზე და გამოკვლევაამდე ვინახავდით სიბნელეში +5°C – მდე ტემპერატურაზე.

ნაყოფის ახალაჭრილი კანის მასიდან ეთეროვანი ზეთის მიახლოებითმა გამოსავლიანობამ შეადგინა: გურაინთაში და სოხუმის მიდამოებში მიღებული ნაყოფის კანში – 14-14 მკლ/გ დიოსკურიისა და ქართული ლიმონის კანში – შესაბამისად 30, 39 და 25, 27 მკლ/გ.


ანალიზის ძირითადი პირობები

სვეტის სიგრძე – 55 მეტრი, დიამეტრი – 0,5 მმ, სტაციონალური ფაზა – მეთილსილიკონური ზეთი, ამორთქლებლისა და დედექტორის უჯრედის ტემპერატურე 250 °C, გაზი – მატარებელი – ჰელიუმი (წნევა კაპილარში შესასვლელთან 60 °C, ტემპერატურე – 0,07 მპა-მდე), ეთეროვანი ზეთის სინჯის მოცულობა – 0,2 მკლ ნაკადის 12 : 1 დაყოფისას (სკალა იმტ – 0,5 2,20 10⁻¹ ა). გამყოფ ტემპერატურას ვაპროგრამებდით 60 °C –დან (სინჯის შეყვანის მომენტი) 200 °C –მდე, წუთში 2⁰ სიჩქარით, რის შემდეგ ანალიზს იზოთერმულ რეჟიმში განვაგრძობდით.


ზეთების კომპონენტების იდენტიფიკაციისათვის გამოვიყენეთ კოვჩის ინდექსები, რომელიც გავიანგარიშეთ ვან დე დოლისა და კრატცის უნივერსალური ფორმულის მეშვეობით ეთეროვანი ზეთებისა და C₅ – C₁₈ რეპერული ნ – ალკანების ნაზავების ქრომატოგრამების მიხედვით.




ნახ. №7. მეიერის ლიმონის ნაყოფის კანონის ეთეროვანი ზეთის ქრომატოგრამა (გურიანთა).




ნახ. №8. მეიერის ლიმონის ნაყოფის კანის ეთეროვანი ზეთის ქრომატოგრამა (სოხუმი).




ნახ. №9. დიოსკურიის ლიმონის ნაყოფის კანონის ეთეროვანი
ზეთის ქრომატოგრამა (გურიათა).



ნახ. №10. დიოსკურიის ლიმონის ნაყოფის კანონის ეთეროვანი
ზეთის ქრომატოგრამა (სოხუმი).



ნახ. №11. ქართული ლიმონის ნაყოფის კანონის ეთეროვანი ზეთის
ქრომატოგრამა (გურიათა).



ნახ. №12. ქართული ლიმონის ნაყოფის კანონის ეთეროვანი ზეთის ქრომატოგრამა (სოხუმი).

რაოდენობრივ ანალიზს ვატარებდით შინაგანი ნორმალიზაციის მეთოდით პიკების ფართის მიხედვით, რომელთაც ვსაზღვრავდით ციფრობრივი ინტეგრატორის მეშვეობით ხელით მუშაობის რეჟიმში (ყველა ნაერთისათვის $K_{\text{კორ.}} = 1,00$).

№7-12 ნახაზებზე წარმოდგენილია შესწავლილი ეთეროვანი ზეთების დიაგრამის ფირის საათში 240 მმ სიჩქარისას გადაღებული ორიგინალური ქრომატოგრამების ასლები. 0,01 და უფრო მაღალი კონცენტრაციებით მყოფი კომპონენტების შემცველობა ასახულია ცხრილში (არაიდენტიფიცირებული ნაერთებისათვის დასახელების ნაცვლად მოყვანილია კოვჩის ინდექსების მნიშვნელობა).

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, ეთეროვანი ზეთების ზოგიერთი კომპონენტის, მაგალითად, მირცენის (პ. 6), გამატერპინენის (პ. 13), ტერპინოლენის (პ. 17), ციტრონენალის (პ. 25), ბეტა-კარიოფილენის უფრო მაღალია სოხუმის ეკოლოგიურ პირობებში (იხ. ცხრილი 11).

მეიერის, დიოსკურიისა და ქართული ლიმონების ნაყოფები კანის ეთეროვან ზეთში ძირითადი კომპონენტების შემცველობა (%) ეკოლოგიური რაიონების მიხედვით.

ცხრილი №11

პიკების №	ზეთის კომპონენტები*	ლიმონი მეიერი		ლიმონი დიოსკურია		ლიმონი ქართული	
		გურიანთა	სოხუმი	გურიანთა	სოხუმი	გურიანთა	სოხუმი

1	2	3	4	5	6	7	8
1	ალფა - ტუენი	0,63	0,61	0,60	0,75	0,60	0,58
2	ალფა - პინენი	1,92	1,92	1,76	2,06	2,78	2,47
3	კამფენი	0,03	0,03	0,02	0,03	0,21	0,20
4	საბინები	0,32	0,33	0,21	0,22	0,73	2,03
5	ბეტა - პინენი	1,21	1,19	1,13	1,30	18,44	14,06
6	მირცენი	2,38	2,42	2,09	2,23	1,65	1,76
7	ალფა-ფელანდრ.	0,08	0,08	0,08	0,08	0,07	0,09
8	ალფა- ტერპინენ.**	2,66	2,71	0,76	0,64	0,62	0,67
10	ლიმონენი	72,14	72,08	71,68	68,98	50,08	54,61
11	(1კ =1032)	2,72	2,87	3,04	3,19	2,42	2,71
12	ტრანს-ოციმენი	0,15	0,18	***	-	0,18	0,19
13	გამა-ტერპინენი	9,71	9,81	14,07	15,46	12,61	13,38
16	ლინალოლ. ჟანგი	0,30	0,34	0,02	-	-	-
17	ტერპინოლელი	0,72	0,77	0,72	0,78	0,74	0,79
18	ლინალოლი	0,44	0,38	0,20	0,17	0,44	0,35
20	(1კ =1100)	0,01	0,02	-	-	-	-
23	(1კ =1124)	0,01	0,01	-	-	-	-
24	(1კ =1127)	0,11	0,11	0,02	-	0,02	0 02
25	ციტრონენალი	0,12	0,15	0,15	0,16	0,05	0,08
30	(1კ =1157)	-	-	-	-	0,04	0,04
31	ტერპინელ-4-ოლი	0,09	0,11	0,09	0,10	0,27	0,27
32	ალფა-ტერპინენოლ.	0,13	0,14	0,15	0,16	0,31	0,29
33	(1კ =1182)	0,02	0,02	-	-	-	-
34	(1კ =1186)	0,25	0,18	0,04	-	0,05	0,03
35	(1კ =1194)	0,07	0,07	-	-	-	-
38	(1კ =1215)	0,10	0,11	0,02	0,01	-	-
1	2	3	4	5	6	7	8
39	ნერალი	0,09	0,08	0,08	0,07	1,22	0,90
41	ჰერანიოლი	-	-	-	-	0,08	0,05
42	ჰერანიალი	0,10	0,07	0,08	0,07	1,70	1,30
44	თიმოლი	0,88	0,89	0,18	0,04	-	-
45	(1კ =1289)	-	-	-	-	0,03	0,04
47	ციტრონელილაცეტ	0,02	0,02	0,03	0,05	0,02	0,02
49	ნერილაცეტატი	-	-	0,05	0,06	0,39	0,46
50	(1კ =1353)	-	-	0,04	0,05	-	-
51	ჰერანილაცეტატი	-	-	0,29	0,41	0,38	0,43
52	(1კ =1381)	0,04	0,04	-	-	-	-
53	(1კ =1385)	0,04	0,02	0,04	0,04	-	-
54	(1კ =1393)	0,72	0,53	0,01	-	0,02	0,02

55	(1კ =1399)	-	-	0,09	0,04	0,01	0,01
56	(1კ =1415)	0,01	0,01	0,02	0,03	0,03	0,03
57	(1კ =1422)	-	-	0,03	0,03	0,02	0,02
58	კარიოფილენი	0,16	0,17	0,28	0,40	0,32	0,37
59	ალფა-ბერგამოტ.	0,21	0,20	0,22	0,25	0,41	0,51
60	ალფა-ჰუმულენი	0,33	0,30	0,05	0,04	0,04	0,06
62	(1კ =1460)	0,08	0,07	0,04	0,05	0,03	0,05
64	(1კ =1477)	0,02	0,02	0,03	0,04	0,01	0,01
65	(1კ =1485)	0,30	0,27	1,08	1,41	0,05	0,03
66	(1კ =1491)	0,02	0,02	-	-	-	-
67	(1კ =1497)	0,03	0,03	0,02	0,04	0,08	0,09
68	(1კ =1500)	0,07	0,06	0,11	0,12	0,13	0,11
69	ბეტა-ბისაბოლენი	0,31	0,30	0,27	0,31	0,59	0,76
71	დელტა-კადინენი	0,05	0,05	0,04	0,05	0,01	0,01
73	ბეტა-სილინენი	-	-	-	-	0,01	0,01
81	(1კ =1640)	0,02	0,03	0,01	0,01	0,02	0,02
85	(1კ =1671)	0,01	0,01	0,01	0,01	0,02	0,02
86	(1კ =1701)	0,01	0,01	0,01	-	0,01	0,01

- არაიდენტიფიცირებული კომპონენტებისათვის დასახელების ნაცვლად მითითებულია კოვანის დამჭერი ინდექსის მნიშვნელობა (მეთილსილიკონიანი სვეტი).
** პრაქტიკულად ალფა-ტერპინენთან (პ. 8) ერთდროულად ანალიზის პირობებში ელუირებულია პარაციმოლი (პ. 9).
*** მოცემულ ეთეროვან ზეთში კომპონენტი არ აღინიშნა, ან მისი კონცენტრაცია 0,01 %-ზე ნაკლებია.

მეორე მხრივ, გურიანთის ეკოლოგიურ პირობებში ყველა შესასწავლი ჯიშის ლიმონი მეტი არომატისათვის აგროვებს ისეთ ძვირფას ნაერთებს, როგორცაა ლინალოლი (პ. 18), ნერალი (პ. 39) და ჰერანიალი (პ. 42). აღნიშნული კომპონენტების კონცენტრაციებში სხვაობა ქართული ლიმონის ეთეროვანი ზეთებისათვის საკმაოდ არსებითია.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მეიერის ლიმონის ნაყოფის კანის ეთეროვანი ზეთებისათვის დამახასიათებელია თიმოლის შესამჩნევი რაოდენობით შემცველობა, რომელიც ქართული ლიმონის ნაყოფის ზეთებში პრაქტიკულად არ აღინიშნება. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ მეიერის ლიმონის ზრდის ეკოლოგიური პირობები პრაქტიკულად არ ახდენენ გავლენას თიმოლის კონცენტრაციაზე ნაყოფის კანის ეთეროვან ზეთში. მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ნაკლები კონცენტრაციებით თიმოლი აღინიშნება ასევე დიოსკურიას ჯიშის ლიმონის ნაყოფის ზეთებში, ამასთან მოცემულ შემთხვევაში ეკოლოგიური ფაქტორის გავლენა

მეტად მკაფიოდ ვლინდება თუ სოხუმის პირობებში დიოსკურიას ლიმონის ნაყოფის ეთეროვანი ზეთები მხოლოდ 0,04 % თიმოლს შეიცავს, გურაინთის პირობებში იგი 0,18 %-ს აღწევს.

სხვადასხვა ჯიშის ლიმონის ნაყოფის ეთეროვანი ზეთების ზოგიერთი კომპონენტის დაგროვების ხასიათი განსხვავებულ ეკოლოგიურ რაიონებში ერთნაირი არ არის. მაგალითად, ალფა-პინენი (პ.2) და ბეტა-პინენი (პ.5) დიოსკურიას ლიმონის ნაყოფის ზეთში მეტი გროვდება სოხუმის ეკოლოგიურ პირობებში, მაშინ როდესაც ქართული ლიმონის ნაყოფის ზეთში მათი შემცველობა მეტია გურაინთის ეკოლოგიურ პირობებში (იხ. ცხრილი №11). რაც შეეხება ლიმონენს (პ. 10), ეს კომპონენტი დიოსკურიას ლიმონის ნაყოფის ზეთში უფრო შესამჩნევად გროვდება გურაინთის ეკოლოგიურ პირობებში, ხოლო ქართული ლიმონის ნაყოფის ზეთში-სოხუმის ეკოლოგიურ პირობებში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეიერის ლიმონი გარკვეულ შეუთავსებლობას ამჟღავნებს ზრდის ეკოლოგიური პირობების შეცვლისადმი. კერძოდ, სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში მეიერის ლიმონის ნაყოფის ზეთში პრაქტიკულად უცვლელი რჩება ზემოაღნიშნული კომპონენტების – თიმოლის (პ.44), ალფა-პინენის (პ.2), ბეტა-პინენის (პ.5), ლიმონენის (პ.10), ასევე კარიოფილენისა (პ.58) და ზოგიერთი სხვა ნაერთის კონცენტრაცია, რომელთა შემცველობა სხვა ჯიშის ლიმონების ნაყოფის ეთეროვან ზეთებში საკმაოდ შესამჩნევად იცვლება (13).

4. ლიმონის ნაყოფის შენახვა-გადამუშავების ზოგიერთი ტექნოლოგიური რეგლამენტების გამოკვლევა.

ციტრუსოვანთა ნაყოფების მსოფლიო ბაზარზე ლიმონს უცვლელად უჭირავს გაბატონებული ადგილი ფორთოხლის ნაყოფთან ერთად.

ლიმონი საინტერესოა როგორც ტექნიკური, სამკურნალო და დეკორატიული მცენარე. ამდენად იგი მრავალმხრივად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მეცნიერულად დასაბუთებულია რომ ყველა სახის მცენარეული ნედლეულის პროდუქტების პირდაპირ საკვებად გამოყენება ითვლება დადებითად, იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის ორგანიზმი მთლიანად ღებულობს არსებულ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (73).

ლიმონის ნაყოფი იმიტომაც არის ძვირფას თვისებათა მატარებელი, რომ შენახვისა და დაკონსერვების შემდეგადაც, ორგანოლექტიკურ მაჩვენებელთა საუკეთესოდ შენარჩუნებასთან ერთად მრავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

ნაყოფების ბიოლოგიურ ღირებულებათა შენარჩუნებისა და მათი მოხმარების ვადის გაზრდის მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის შენახვა-გადამუშავებას, მეცნიერულად შესწავლილი და დასაბუთებული ტექნოლოგიების გამოყენებას.

მოცემულ თავში განხილულია ლიმონის ნაყოფების შენახვისა და გადამუშავების ზოგიერთი ტექნოლოგიური კვლევის შედეგები.

ჩვენს მიერ შემუშავებული იქნება ლიმონის ნაყოფთა ნაკლებნარჩენიანი გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მისი ნაყოფისაგან წვენი და უალკოჰოლო სასმელის მომზადებას, ხოლო ნაყოფის გამოწურვის შემდგომ დარჩენილი შროტისაგან კონფიტურის დამზადებას. „ახალქართული“ და „დიოსკურიას“ ჯიშის ლიმონის კანისაგან ნატურალური ბუნებრივი არომატიზატორის მიღებას.

4.1. ლიმონის ნაყოფის მომზადება პროდუქტის დასამზადებლად

პროდუქტის მისაღებად განკუთვნილი ხილი უნდა იყოს ტექნიკური სიმწიფის, ჰქონდეს დამახასიათებელი შეფერვა, გემო და არომატიც. პროდუქტის საწარმოებლად არ შეიძლება გამოვიყენოთ უმწიფარი ხილი, რადგან მათგან მიიღება დაბალი ხარისხის პროდუქტი კონფიტურის მისაღებად სასურველია გამოყენებული იქნას „ახალქართული“-ს და „დიოსკურია“-ს ჯიშის ლიმონის ნაყოფი.

მიღებულ ნედლეულს უტარებენ ინსპექციას – ცილდება უვარგისი ნაყოფები.

შემდეგი ეტაპი არის რეცხვა – ნაყოფს რეცხავენ სუფთა გამდინარე წყლით. ხდება ზედაპირიდან სიბინძურის მიკროორგანიზმებისა და შხამქიმიკატების მოცილება.

გარეცხილი ნაყოფები მიეწოდება დამკალიბრებელ მანქანს. აქ ხდება ლიმონის დაკალიბრება 2 ჯგუფად, პირველი 60 მმ-მდე და მეორე 60 მმ-ს ზევით.


ტექნოლოგიური გადამუშავებისათვის იყენებენ არასტანდარტულ ნაყოფებს. ლიმონის ნაყოფებისაგან შესაძლებელია ნატურალური არომატიზატორის დამზადება, რისთვისაც ლიმონს აცლიან ფლავედოს და ამატებენ ეთილის სპირტს 1:1 თანაფარდობით.

აყოვნებენ სიბნელეში, ოთახის ტემპერატურაზე. 15 დღის შემდეგ არომატიზატორი სტაბილურია და შეიძლება გამოყენება.

ნაყოფისაგან ღებულობენ წვეწვან ცივი დაწნეხვით. წვეწვი შესაძლებელია უშუალოდ გამოვიყენოთ უალკოჰოლო სასმელის დასამზადებლად ან ცხლად ჩავასხათ ჰერმეტიკულ ჭურჭელში და შევინახოთ როგორც ნახევარფაბრიკატი შემდგომში პროდუქტების დასამზადებლად.

ლიმონის ნაყოფისაგან პროდუქტის დამზადება

სქემა №2



დარჩენილი შროტი ნედლეულია ლიმონის კონფიტიურის ან მისი სხვა ხილთან ასორტის დასამზადებლად.

4.2 ლიმონის ნაყოფის შენახვა

დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული ლიმონი . მისი ნაყოფები მასობრივად ნოემბრიდან იანვრამდე მწიფდება.

სიმწიფის ხარისხი დიდ გავლენას ახდენს ნაყოფის სასაქონლო ღირებულებაზე და შენახვის შემდეგ დანაკარგის სიდიდეზე. სხვა მრავალი კულტურის ნაყოფებისაგან განსხვავებით ლიმონში სახამებელი არ არის, რის შედეგადაც შეგროვების შემდეგ მათი ბიოქიმიური შემადგენლობა არ იცვლება. ლიმონის ნაყოფის სიმწიფის მაჩვენებელია: ნაყოფის სიდიდე, კანის შეფერილობა (79,81,91,107,169,175). დამამზადებელ პუნქტზე ხდება ლიმონის ნაყოფის დაყალიბება ზომის მიხედვით.

100გრ-ის ზევით სტანდარტული, ხოლო ნაკლები წონის კი არასტანდარტული. სტანდარტული ნედლეულის რეალიზაცია უკეთესია შენახვის შემდეგ, რადგან ლიმონის კრეფის პერიოდში ნოემბერ დეკემბერში მისი ღირებულება ბაზარზე სიჭარბის გამო დაბალია, ხოლო თებერვლიდან 1 ცალის ღირებულება ხშირად 50 თეთრზე მეტია.

არასტანდარტული ნაყოფი უმჯობესია გამოყენებული იქნას გადასამუშავებლად.

ლიმონის ნაყოფი საუკეთესოდ იტანს ხანგრძლივად ტრანსპორტირებას და ციტრუსოვნების სხვა სახეობათა ნაყოფებთან შედარებით დიდხანს ინახება.

ციტრუსოვანთა დიდი რაოდენობა ინახება იმისათვის, რომ მოსახლეობა ხანგრძლივი დროის მანძილზე მომარაგდეს, მაგრამ შენახვის დროს მთელი რიგი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ცვლილებები მიმდინარეობს, აგრეთვე ნაყოფი ავადდება სოკოთი, ბაქტერიებით და ფიზიოლოგიური დაავადებებით. არასწორი შენახვის რეჟიმის დროს დიდი ნაწილი ღვება. ამის თავიდან ასაცილებლად ნაყოფის შენახვისათვის საჭიროა შექმნილი იქნას ისეთი პირობები (ტემპერატურა, ტენიანობა), რომლის დროსაც ნაყოფი მაქსიმალურად შენარჩუნდება სასაქონლო და გემოვნებით ხარისხს. დაავადებებიდან დანაკარგები კი მინიმალური იქნებოდა. ამ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ლიმონისა და სხვა ციტრუსების შესანახი საწყობები.

ლიმონის ნაყოფის ზოგიერთ ფიზიკო-ქიმიურ მაჩვენებელზე

შენახვის გავლენა

ცხრილი №12

შენახვის პერიოდი	მაჩვენებლები	ჯიში		
		მეიერი	დიოსკურია	ქართული
შესანახად დაწყოლი	საშუალო მასა, გ	100,5	78,3	79,0
	წვენი ნაყოფიდან %	43,15	37,24	25,59

	მშრალი ნივთიერება წვენში %	8,9	9,0	9,2
	ტიტრული მჟავიანობა წვენში	4,8	5,42	6,8
	ვიტამინი C წვენში მგ %	37,3	59,8	79,0
შენახვის შემდეგ (3 თვე)	საშუალო მასა, გ	89,5	68,1	69,0
	წვენი ნაყოფიდან, %	41,2	36,8	24,9
	მშრალი ნივთიერება წვენში %	8,8	8,9	9,1
	ტიტრული მჟავიანობა წვენში	4,6	5,2	6,4
	ვიტამინი C წვენში მგ %	36,1	57,5	68,1

დიდი ხნით შენახვის დროს სწორი რეჟიმი ითვალისწინებს: ყვითელი კანის შეფერილობას ლიმონი ინახება +2 +3°C და 85-90% ტენიანობაზე. ღია ყვითელი და ღია მწვანე ნაყოფი +4 +5°C , 85-90% ტენიანობა, ხოლო მუქი მწვანე ნაყოფი შესაბამისად +6 +8°C და 85-90% ტენიანობა.

უფრო დაბალ ტემპერატურაზე მცირე დროით ინახება მწიფე ნაყოფები, რათა თავიდან ავიცილოთ მათი გადამწიფება.

სამაცივრო დანადგარში შენახვისას ლიმონის ნაყოფი დღე-ღამეში იკლებს 0,04 - 0,10%. ამ დროის მანძილზე მშრალი მასა მცირედ იცვლება, მაგრამ ბიოქიმიური შემადგენლობა ხდება ცოტათი სხვა.

დაბალ ტემპერატურაზე დიდი ხნით შენახვის დროს, ლიმონის ნაყოფი სუნთქვაზე მოიხმარს ლიმონის მჟავას, რაც წვენის მჟავიანობას ამცირებს. ოთახის ტემპერატურაზე შენახვისას კი სუნთქვისათვის იყენებს შაქარს, რის შედეგადაც შეიმჩნევა მჟავიანობის აწევა.

შენახვის შედეგად ასკორბინის მჟავა არ იცვლება, თუმცა ნაყოფში მისი აბსოლუტური რაოდენობა, წვენის რაოდენობის შემცირებასთან ერთად ეცემა.


მაღალი ტემპერატურისა და ძლიერი ვენტოლაციის პირობებში, ნაყოფი იწყებს გამოშრობას, რის შედეგადაც მცირდება კანის სისქე და მისი წონა.

4.3. პროფილაქტიკურ-მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელის მომზადება

ჩვენი მიზანი იყო მატონიზირებელ-პროფილაქტიკური თვისებების მქონე სასმელების მიღება, რომელშიც მაქსიმალურად იქნებოდა შენარჩუნებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

მატონიზირებელი სასმელის მიღება-წარმოება მიმდინარეობდა შემდეგი სქემის მიხედვით.

სქემა 13



